40
977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეოდეზია

1
1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „პიონერის“ რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ რესპუბლიკის პიონერებისა და მოსწავლეების საყვარელი ჟურნალის „პიონერის“ რედაქციას და მის მრავალრიცხოვან მკითხველებს ჟურნალის დაარსების 50 წლისთავს.

თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე ჟურნალი ,,პიონერი'' ერთგულად ემსახურება მოზარდი თაობის ლენინის იდეებით, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, შთააგონებს მოსწავლე ახალგაზრდობას სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობას, ამზადებს მას პარტიისა და ხალხის საქმისადმი უანგარო სამსახურისათვის.

ჟურნალის საქმიანობა აღსავსეა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ახალი საინტერესო ფორმების შემოქმედებითი ძიების შესანიშნავი მაგალითებით. მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები პიონერებსა და მოსწავლეებს აძლევენ ძვირფას სულიერ საზრდოს კომუნისტური მრწამსის ჩამოყალიბებისათვის, შემოქმედებითი აზროვნების ჩვევათა შეძენისათვის, უვითარებენ მათ შრომისმოყვარეობის, საქმიანი ინიციატივის, კოლექტივიზმისა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, უნერგავენ მომავალ თაობას მტკიცე ნებისყოფასა და შეუპოვრობას დასახული მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში.

ჟურნალი ყოველთვის შინაარსიანად და საინტერესოდ ასახავს რესპუბლიკის პიონერთა მჩქეფარე ცხოვრებას, აქტიურად ეხმარება და მხარს უჭერს მათ ყოველ სასარგებლო ინიციატივასა და თაოსნობას.

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში სუფევს შემოქმედებითი შრომის არნახული ატმოსფერო, როცა საბჭოთა საქართველოს მშრომელები წარმატებით ასრულებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, ჟურნალი კიდევ უფრო მეტი შემართებით იბრძვის მომავალი თაობის ყოველდღიურ ცხოვრებაში მუშაობის საინტერესო ფორმების დამკვიდრებისათვის, პარტიის დიად მიზანდასახულობათა შესასრულებლად პიონერებისა და მოსწავლეების დარაზმვისათვის.

ჟურნალის მთელი საქმიანობა მიმართულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებული თანმიმდევრული და პრინციპული კურსის აქტიური მხარდაჭერისათვის, რომლის მიზანია რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღება, ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრა ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის ფსიქიკაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უსურვებენ ჟურნალის ყველა თანამშრომელს, კორესპონდენტთა აქტივს შემდგომ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ ჟურნალი ,,პიონერი'' მომავალშიც ღირსეულად შეასრულებს ნორჩ ლენინელთა კეთილი მრჩევლისა და გულისხმიერი დამრიგებლის როლს, კიდევ უფრო დრმად ჩასწვდება მათი ხალისიანი და საინტერესო ცხოვრების შინაარსს და ახალ წარმატებებს მოიპოვებს პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

«ჯავშანი ვნდა ბავშვათ ნიგ.»

ლევ პოდვოისკი

მხატვარი ვ. სამოილოვი.

მოთხრობა

1920 წელი იდგა. ჩვენი მამები ისევ ებრძოდნენ თეთრგვარდიელებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ფაბრიკები და ქარხნები დანგრეული იყო. სკოლებში სიცარიელე სუფევდა. მაგრამ იმ წელიწადს სკოლები უნდა გახსნილიყო. ბევრი ბავშვი რევოლუციის შემდეგ პირველად შეკიდოდა პირველ კლასში. მათ შორის ზოგს რვა, ზოგს ცხრა, ხოლო რამდენიმე ჩემს ამხანაგს თორმეტი წელიც კი შეუსრულდა.

ჯერჯერობით საბავშვო კლუბში დავდიოდით. კლუბი მოთავსებული იყო საბჭოების მეორე სახლში — ასე ეძახდნენ მაშინ მოსკოვის სასტუმრო „მეტროპოლს“.

ყველა ბიჭი და გოგო, ვინც კლუბში დადიოდა, მხარს უჭერდა საბჭოთა ხელისუფლებას, სძულდა ბურჟუები, თეთრგვარდიელები, ქორ-ვაჭრები. ჩვენთან პატივსა სცემდნენ დაკოჟრილ ხელებს, მაგარ ... ჩხუბით ახლანდელ ბავშვებს ... ხშირად ვჩხუბობდით. სხვამხრივ კი ახლანდელებს ვგავდით: ასეთივე სიცოცხლით სავსე, ანცი ბიჭები ვიყავით, ოღონდ — შედარებით დაბლები, ცუდად ჩაცმულები და ძალზე მშივრები. მაგრამ, მე მგონი, პოლიტიკით ჩვენ მეტად ვიყავით დაინტერესებული, ვიდრე დღევანდელი ყმაწვილები. ჩვენი მშობლები რევოლუციას ახდენდნენ და ვცდილობდით მათ გვერდით ვმდგარიყავით.

როგორც ყველა ბავშვს, ჩვენც გვიყვარდა წატრაბახება.

— ჩემი მამილო ბუდიონის ცხენოსან არმიაშია, თეთრებს სულ კუდით ქვას ასროლინებს! — იკვეხნიდა ერთი.

— მამაჩემმა პეტროგრადში ზამთრის სასახლე აიღო, ღმერთმანი, არა ვტყუი! — იფიცებოდა მეორე.

— დედაჩემი სახკომსაბჭოში ლენინთან შიკრიკად მუშაობს. „ჰოი, რა გულისხმიერი ადამიანია“, — ამბობს ხოლმე, — გვიყვებოდა მსუქანი, შიმშილობის მიუხედავად, ლოყებღაქღაქა გოგონა, მეტსახელად ბუზი.

არ მახსოვს კლუბში ვინმეს ეტრაბახნა თავისი დედ-მამის მაღალი თანამდებობით. ჩვენთან ის ბავშვებიც დადიოდნენ, კრემლში რომ ცხოვრობდნენ. ყმაწვილობისას ვმეგობრობდი კრემლის ტიტველ-შიშველი ბიჭების წინამძღოლ, თამაშობა „კაზაკები-ყაჩაღების“ უცვლელ ატამან ადკა სვერდლოვთან, ოდნავ ფლეგმატურ, გულკეთილ იასიკ ძერჟინსკისთან, მუხასავით მაგარ შურა კალინინთან.

მაინც ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო ცეცხლფარეშის ვაჟი, აწოწილი ჟენკა ტრუსევიჩი.

გაჭირვება, შიმშილი მეფობდა მოსკოვში ომის დროს.

მაგრამ ქვაფენილზე ფეხშიშველ ბიჭუნების თანხლებით ხმაურიანი მარშით მიმოდიოდნენ წითელარმიელები, რომელთაც თავზე ბუდიონურები ეხურათ.

ფრონტზე მიმავალ წითელ ლეგიონებს ხშირად აცილებდა ლენინი. მე და ჩემს მეგობრებს ძლიერ გვინდოდა ისეთ მიტინგზე მოხვედრა, სადაც ლენინი გამოვიდოდა სიტყვით, მაგრამ როგორღაც ვერა და ვერ ვახერხებდით.

და აი ერთხელ ბედმა გაგვიღიმა. პირველი მაისის წინადღეს ჩვენმა ხელმძღვანელმა ლუდმილა ევგენის ასულმა — მკაცრმა, გამხდარმა, პე-

ნსნეიანმა ქალმა — გაგვაფრთხილა:

— ხვალ, ბავშვებო, კლუბი დილიდანვე ღია იქნება, ვინაიდან ყველა მოზრდილი საპირველმაისო კვირაობაზე წავა სამუშაოდ.

— ამხანაგი ლენინიც იმუშავებს? — იკითხა ჟენკამ. იგი ყოველთვის გამოხტებოდა ხოლმე წინ თავისი მოულოდნელი შეკითხვებით.

— არ ვიცი, რა გიპასუხო, — უთხრა ლუდმილა ევგენის ასულმა, — ვლადიმერ ილიას ძე ლენინი-ულიანოვი, როგორც სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ძალზე მოუცლელია. ის ისედაც მუშაობს დღისით და ღამით, დღესასწაულების დროსაც.

დილით ეე და ჟენკა კლუბში რომ მივდიოდით, ქალაქს საზეიმო ელფერი ედო. ფრიალებდნენ ალისფერი ალმები. სახლებს შორის წითელი ტილოები ეკიდა, რომლებზეც ეწერა ლოზუნგები: — „გაუმარჯოს 1 მაისს!“ „ჩავახრჩობთ თეთრ ბარონ ვრანგელს შავ ზღვაში!“

დედაქალაქის ქუჩები დაცარიელებული იყო. არ იკრიბებოდნენ დემონსტრანტები, არ უკრავდა ორკესტრი. დიდები კვირაობაზე იყვნენ გაკრეფილი.

— ამხანაგი ლენინიც მუშაობს. კრემლის კურსანტებთან ერთად მორებს ეზიდება! — გვაუწყა აქოშინებულმა ადკამ.

მე და ჟენკას გვინდოდა კრემლში გავქცეულიყავით, რომ გვენახა, როგორ მუშაობდა კვირაობაზე ლენინი.

— იქ თქვენ არ შეგიშვებენ, ბავშვებო, — გვითხრა ლუდმილა ევგენის ასულმა მკაცრი ხმით. — კრემლს გუშაგები სდარაჯობენ. სჯობს სასეირნოდ გავემზადოთ.

ორრიგად მოვეწყვეთ და დიდი თეატრის მახლობელ სკვერში წავედით. ჩვენ წინ მიაბიჯებდა მკაცრი ხელმძღვანელი ქალი.

გაზაფხულის მზე ისე აცხუნებდა, როგორც ზაფხულში. ქვაფენილებს შორის ლორთქო ბალახი ამოწვერილიყო. ბუჩქებს კვირტები დაჰბერვოდათ; კვირტებიდან, როგორც



კვერცხებიდან წიწილები, საცაა წებოვანი ფოთლები გამოიჩეკებოდნენ.

— მოდით, შადრევანთან იები მოვძებნოთ! — დაიძახა ჟენკამ და იქვე გახევდა.

ომის დროს მიტოვებული შადრევნის შორიახლოს მიტინგი იკრიბებოდა. იდგნენ მაზარებში, მუშურ ხალათებში, გიმნასტურებში გამოწყობილი კაცები.

— ძია, აქ ფრონტზე გაცილება ხომ არ ეწყობა? — იკითხა სმენადაძაბულმა ჟენკამ.

მის გვერდით ჩუმად ქშინავდა და უფროსებს შორის გაძრომას ცდილობდა გოგონა, მეტსახელად ბუზი. დანარჩენი ბავშვებიც ტყავიდან ძვრებოდნენ, ოღონდ წინ წაეწიათ. უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ვიღაც ძია გამოჩნდა. სამხედრო ფრენჩი ეცვა, გვერდზე ნაგანი ეკიდა.

— აბა, შეაყოლეთ, წვრილფეხობავ! — დაგვიყვირა მან.

შეგვეშინდა.

მაგრამ ამ დროს ავტომობილი მოვიდა. იქიდან ლენინი გადმოვიდა, მოღიმარე, მკერდზე წითელი ბაფთით. მან გაიგონა, როგორ გვერეკებოდა სამხედრო კაცი, და მაშინვე გამოგვექომაგა.

— ბავშვები წინ უნდა გავუშვათ! აუცილებლად წინ და მხოლოდ წინ!

— თქვა ვლადიმერ ილიას ძემ.

ასეთი მხარდაჭერის შემდეგ ორივ ერთი ნაგანიანი ძია არ იყო ჩვენთვის საშიში. ლენინს უკან გავყევით და დიდების წინ დავდექით, ვლადიმერ ილიას ძესთან ყველაზე ახლოს.

ამ დღეს საძირკველი ეყრებოდა კარლ მარქსის ძეგლს. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა, შემდეგ ლითონის ფირფიტაზე ხელი მოაწერა. ჩვენ თვალებგაფაციცებული ვუყურებდით. ჟენკას მეტისმეტი დაძაბულობისაგან სახეც კი წამოუწითლდა. ლენინის ხელმოწერილი ფირფიტა ღრმულში ჩადეს. ლენინს ქაფჩა მისცეს ხელში, მას პირველს უნდა დაეწყო მუშაობა მომავალი ძეგლის ადგილზე.

ვლადიმერ ილიას ძე ჩაცუცქდა და სწრაფად დაასხა დუღაბი საძირკველს...

— რა მარჯვედ გააკეთა! — აღტაცებით ჩამჩურჩულა ჟენკამ. — გეგონება, ნამდვილი კალატოზიაო.

ეტყობა, საკმაოდ ხმამაღლა გამოუვიდა ნათქვამი, ლუდმილა ევგენის ასულმა ყური მოჰკრა.

— დააკვირდით, ბავშვებო, და ისწავლეთ ყველაფრის ისე კარგად და აკურატულად გაკეთება, როგორც აკეთებს ვლადიმერ ლენინი! — გვითხრა მან.

ლუდმილა ევგენის ასულმა ყველას გვითხრა ეს, მაგრამ იგი, რასაკვირველია, პირველ რიგში ჩემს მეგობარ ჟენკას მიმართავდა, მუდამ სულსწრაფსა და ამიტომ ბევრჯერ არა აკურატულს.

გარშემო კი უკვე ხმამაღლა, აღ-

ჯიბნაჯრი

1

იანვარი

1977

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტაცებით ესალმებოდნენ ლენინს. იგი წასვლას ჩქარობდა, მაგრამ მისი გაშვება არ უნდოდათ. ვლადიმერ ილიას ძე იღიმებოდა, მისალმების ნიშნად კეპკაჩაბღუჯულ ხელს მაღლა აქნევდა, დარცხვენით უთითებდა საათზე, ჟილეტის ჯიბიდან რომ ამოიღებდა ხოლმე.

— ამხანაგი ლენინი მეორე მიტინგზეა წასასვლელი, მას ელოდებიან, — გაისმა ვიღაცის ბოხი ხმა, ჩანდა, სამხედრო მეთაური იყო.

ვლადიმერ ილიას ძე წავიდა.

... ერთი სული მქონდა, სანამ შინ მოვყვებოდი ამ დღის ამბებს. ძლივს დავიცადე დედის მოსვლამდე. მას, ისე, როგორც მამაჩემს, ბოლშევიკების ძველ გვარდიას ეძახდნენ. დედა მეფის ციხეში მჯდარა, ორჯერ მიუღია მონაწილეობა შიმშილობის გამოცხადებაში. ერთხელ, 13, მეორედ კი მთელი 18 დღე უშიმშილია. ოჯახში ხუთი ბავშვი ვიყავით ერთიმეორეზე პატარები, დედა კი სულ მუშაობდა. სამუშაოდან რომ მოვიდოდა, კვლავ კარგა ხანს ჯახირობდა: რეცხავდა იატაკს, სარეცხს... ჩვენც შეგვაჩვია ოჯახში ყველაფრის კეთებას.

— ვლადიმერ ილიას ძე ვერ ითმენს უსუფთაობას. იგი სადად ცხოვრობს, უბრალოდ იცვამს, მაგრამ მას ყველაფერი სუფთად და აკურატულად აქვს, — ბევრჯერ უთქვამს დედას ჩემთვის.

და, აი, ახლა, თვალი მოვკარი თუ არა დედაჩემს, შევძახე:

— ვნახე! ვნახე, დედა, რა აკურატულად მუშაობს ლენინი!

დედამ გამიღიმა, მაგრამ მყისვე მოაკლო თვალი ჩვენს ერთადერთ ოთახს.

ოთახში ყველაფერი ყირაზე იდგა.

— ჩვენ სახკომსაბჭობანას ვთამაშობთ! — ვთქვი მე.

ეს იყო ჩვენი საყვარელი თამაშობა. შინ ხშირად გვესმოდა სახალხო კომისრების სახელები.

— ლენინის დავალებით ყველა სახალხო კომისარმა უწინარეს ყოვლისა ბავშვებზე უნდა იზრუნოს, — გვიამბობდა დედა წინა დღეს. — აი მამათქვენიც ლენინმა და ძერჟინსკიმ გამოიძახეს ფრონტიდან და ბავშვებთან მუშაობის მოგვარება დაავალეს.

დედასთან საუბრის შემდეგ „სახკომსაბჭოს“ საგანგებო სხდომა მოვიწვიეთ. ჩემი უმცროსი დები სახალხო კომისრებად იწოდებოდნენ, მე კი ჩემთვის საქმეთა მმართველის თანამდებობა შევარჩიე, რათა ნამდვილი პასუხისმგებელი მუშაკივით პორტფელამოღლიავებულს მევლო.

— ამხანაგებო! — მოვახსენებდი სხდომას, — მიმდინარე მომენტში, მაშასადამე. საკითხი გადაჭრით არის დასმული, მაშასადამე: რა გააკეთე შენ ფრონტისთვის? ბავშვები უნდა გაუშვათ წინ, აუცილებლად წინ! დედამ, ესე იგი ქალთა განყოფილებამ, მაშასადამე, თქვა, რომ სახალხო კომისრები შემოტრიალდნენ ბავშვებისაკენ... ჩვენ უნდა...

რაკი არ ვიცოდი, რა უნდა გაგვეკეთებინა რევოლუციისათვის ბავშვთა საკითხში, წინადადება წამოვაყენე მიგვეღო დეკრეტი წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ, არმიისა, რომელიც თავს წააცლიდა იმპერიალიზმის ურჩხულს — თეთრ ანტანტას.

— სიტყვა ეძლევა სურსათის სახკომს, — გამოვაცხადე ხმამაღლა და დავუმატე: — ნინკა, ილაპარაკე.

ჩემი ოთხი წლის დაიკო მაგიდაზე აფოფხდა, ენა გამომიყო და სხაპასხუპით არატრატდა:

— შჩის და ფაფას ვყლაპავთ სწრაფად!



— შჩის და ფაფას ვყლაპავთ სწრაფად!

ლამის ავტირდი. როგორ გინდა სერიოზული საქმე გააკეთო ასეთი ტიტინას შემწეობით? ამჯერად დედასაც კი შევჩივლე ამაზე.

— ნუ წუხხარ, ლიოვა, — თავზე ხელი გადამისვა დედამ, — თქვენც გექნებათ თქვენი ბავშვთა ორგანიზაცია, გექნებათ ბავშვთა სასახლეებიც. აი ნახავ. ოღონდ კი დამთავრდეს ომი.

ორწლინახევრის შემდეგ მოსკოვის ერთ-ერთ პირველ პიონერულ რაზმში შევედი. კარგა ხანს ჩვენს სკოლაში მხოლოდ სამი პიონერი ვიყავით. მაინც მამაცურად ვიცავდით ჩვენს წითელ ყელსახვევებს ხულიგნების — ნეპმანებისა და ქორვაჭართა შვილების თავდასხმებისაგან. ჩვენს რაზმში მოდიოდნენ ძველი ბოლშევიკები; ჩვენ მათაც პიონერთა რიგებში ვიღებდით. ერთ-ერთი პირველი საპატიო პიონერი გახდა ფელიქს ძერჟინსკი. იგი იმ სკოლაში მიიღეს პიონერად, სადაც მისი შვილი იასიკი სწავლობდა. როცა ფელიქს ედმუნდის ძეს წითელი ყელსახვევი გაუკეთეს და ჩვენი პიონერული მისალმება — სალუტი აჩვენეს, ძერჟინსკიმ, მაღალმა, მახვილივით სწორმა, ხელი თავს ზევით აიღო და მტკიცედ წარმოთქვა:

— მუშათა კლასის საქმისათვის საბრძოლველად მუდამ ვიყავი მზაღ!

მან რაზმს აჩუქა ნამდვილი ბურთი — იმ დროის ყველა ბიჭის ოცნება. შემდგომ მე პიონერხელმძღვანელად დავიწყე მუშაობა და 1929 წელს პირველ საკავშირო პიონერულ შეკრებაში მივიღე მონაწილეობა. ექვსი ათასი დელეგატი ჩამოვიდა დედაქალაქში საბჭოეთის ყველა კუთხიდან, „მოსკოვი ტყვეობაშია“, — ასეთი სათაურით გამოვიდა გაზეთი „პრავდა“. მწერალი ნ. პოგოდინი თავის ნარკვევში მკითხველებს მოუთხრობდა, რომ მოსკოველებმა ბავშვების განკარგულებაში გადასცეს ყველაფერი, რაც კი მაშინ გააჩნდათ: სტადიონები, პარკები, საწყლოსნო სადგურები, ტრამვაი, თეატრები... და სამი ყველგან წითელი ყელსახვევი იყო.

— ბავშვები უნდა გავუშვათ წინ! აუცილებლად წინ! — ამბობდა პიონერთა შეკრების დამხმარე კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ივანეს ძე კალინინი და უბრალოჩარჩოიანი სათვალიდან თვალმოჭუტული აცქერდებოდა მის წინ მსხდომ სახალხო კომისრებს, — მხოლოდ წინ!

თარგმნა ს. ბეჩოელმა.

60 დამკვრელური კვირა

60 წლისთავზე



როცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცი წლისთავის ზეიმამდე 60 კვირა დარჩა, კომკავშირმა ეს სამოცი კვირა ოქტომბრის ვახტის დამკვრელურ კვირებად გამოაცხადა და ენერგიულად შეუდგა შრომას, სწავლას სამშობლოს საკეთილდღეოდ, პარტიის მიზანდასახულობათა შესასრულებლად.

უცნაური ამბავი ხდებოდა:

კალენდარზე 1976 წელი იყო აღნიშნული, კომკავშირელები კი შრომობდნენ 1918 წლის — გმირული წლის აღსანიშნავად, იმ წლისა, როცა თვითონ კომკავშირი დაიბადა.

და ასე გაგრძელდა.

საოქტომბრო ვახტის ყოველ კვირას ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა მიუძღვნის ქვეყნის ისტორიის თითოეულ წელიწადს.

აი ის ბობოქარი წლები:

1919 წელი.

2-6 მარტს მოსკოვში გაიმართა კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესი.

12 აპრილს მოეწყო პირველი კომუნისტური შაბათობა. მოსკოვი-სორტირეოვოჩნაიას დეპოს კომუნისტი რკინიგზელები სამუშაო საათების შემდეგ დარჩნენ და შეაკეთეს სამი ორთქლმავალი.

პარტიამ მხარი დაუჭირა მუშათა ამ წამოწყებას.

კომუნისტური შაბათობები მთელ ქვეყანაში გავრცელდა.

28 ივნისს ვ. ი. ლენინმა დაამთავრა მუშაობა სტატიაზე „დიადი თაოსნობა“, რომელშიც კომუნისტური შაბათობები შეაფასა, როგორც „კომუნიზმის ფაქტიური დასაწყისი“.

9 ივლისს რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ყველა წევრს მიმართა წერილით „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად!“, რომელიც დაწერა ლენინმა.

1921 წელი.

18 მარტი.

ლიკვიდირებულია კონტრრევოლუციური ამბოხება კრონშტადტში. აჯანყების ლიკვიდაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო კომკავშირმა.

„გთხოვთ დაუყოვნებლივ გაგვაგზავნოთ ფრონტზე, ამბოხებული კრონშტადტის კედლებთან“, — აცხადებდნენ ჭაბუკი პატრიოტები.

შემტევთა პირველ რიგებში იბრძოდნენ პარტიის X ყრილობის დელეგატები, მათ შორის, კ. ვოროშილოვი, ა. ფადეევი, ი. კონევი.

19 აპრილი.

გაიმართა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელმაც აირჩია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა ბორის ძნელაძის მეთაურობით.

და სხვანი და სხვანი, ერთიმეორეზე უფრო საინტერესო, ჰეროიკული, გმირული პათოსით აღსავსე წლები.

თითოეულ ამ წელიწადს ჩვენი ქვეყნის სიჭაბუკე თითო დამკვრელურ კვირას მიუძღვნის.

კომკავშირელები ეჯიბრებიან ერთმანეთს კომუნისტური პარტიისადმი პატაკზე ხელმოწერის საპატიო უფლებისათვის.

კომკავშირელებს, როგორც ყოველთვის, მხარში უდგანან პიონერები.

პიონერის დამკვრელური შრომა საუკეთესო სწავლაა, — ასე სწამთ თბილისის გახანგრძლივებული დღის მე-2 საშუალო სკოლის შოთა გოგორიშვილის სახელობის პიონერული რაზმეულის პიონერებს.

... თუ კუკიის სასაფლაოსკენ ჩაგივლიათ, უთუოდ შენიშნავდით ერთ საფლავზე კვარცხლბეკზე შემდგარ მწვანე ტანკს.

ეს მამაცი საბჭოთა ტანკისტის შოთა გოგორიშვილის საფლავია.

შოთა გოგორიშვილი 1922 წელს დაიბადა. 1940 წელს საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში შევიდა. საუკეთესოდ სწავლობდა.

ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული სასწავლებელი, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო.

შოთამ მთავარსარდალს გაუგზავნა თხოვნა, სასწავლებლის დამთავრებამდე გაეშვათ ფრონტზე. ჭაბუკს თხოვნა შეუსრულეს და ქართველი ახალგაზრდის ტანკი რისხვად ევლინებოდა მტერს.

დივიზიონის მამაცი მეთაური იბრძოდა ქერჩში, პოლონეთის განთავისუფლებისათვის და სოფელ კოჟუხოვოსთან გმირულად დაიღუპა 1944 წელს. ომიდან არც მისი ძმა და მამა დაბრუნებულან. მამაცი ტანკისტის ნეშტი ომის დამთავრების შემდეგ გადმოასვენეს საქართველოში.

როცა საბჭოთა პიონერია თავის 50 წლისთავს ზეიმობდა, თბილისის გახანგრძლივებული დღის მე-2 საშუალო სკოლის პიონერულ რაზმეულს ეწოდა შოთა გოგორიშვილის სახელი.

რაზმეულმა მჭიდრო კავშირი დაამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარა შოთას დედასთან, რომელმაც პიონერთა ოთახს საჩუქრად გადასცა იმ ტანკის მაკეტი, რომელიც შოთას საფლავზე დგას და რომელიც გმირის დედას შვილის ამხანაგებმა აჩუქეს.

პიონერთა ოთახის სპეციალურად მოწყობილ კუთხეს ამშვენებს ამ პატრიოტი ვაჟკაცის წერილები, მის სახელზე გამოგზავნილი მთავარსარდლის მადლობა და სხვა დოკუმენტები, რომლებითაც პიონერები სამშობლოსათვის თავგანწირვის, სიმამაცის ანბანს სწავლობენ.

როცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი კომკავშირელთა საოქტომბრო ვახტის ამბავი შეიტყვეს, სკოლის პიონერთა რაზმეულმა გადაწყვიტა საუკეთესო სწავლით, დისციპლინის განმტკიცებით, რევოლუციისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლით აღენიშნათ იგი.

სამოცი პიონერული დამკვრელური კვირა — რევოლუციის სამოცი წლისთავს!

ეს ლოზუნგი ყველა პიონერმა აიტაცა, ეს იყო პიონერული მარშის „მივდივართ ლენინის გზით, ოქტომბრის

* ეფროსი პიონერხელმძღვანელი ლილი სოზაშვილი ესაუბრება პიონერებს საკავშირო მარშის მიხედვით ჩატარებულ ღონისძიებებზე.

* ბიბლიოთეკარი ნათელა ლოლუა დიდად ეხმარება პიონერებს წიგნის შერჩევაში.

გზით!“ კიდევ უფრო გაღრმავება, მისი გაგრძელება.

მაგრამ რით დაეწყოთ, რა უნდა ყოფილიყო პირველი ნაბიჯი, რასაც რაზმეული გადადგამდა?

ასეთ პირველ ნაბიჯად იქცა რუსთაველთა პატრიოტული თაოსნობის „არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“ — გამოხმაურება.

... სკოლა საზეიმოდ არის მორთული. დერეფანში, საკლასო ოთახებსა და პიონერთა ოთახში წითელყელსახვევიანი, სახეაწითლებული პიონერები ფუსფუსებენ. საპატიო სტუმრების შესახვედრად ემზადებიან. იმეორებენ სიტყვებს, ერთმანეთს უსწორებენ ბაფთებსა და საყელოებს.

სადაც არის სტუმრები შემოაღებენ კარს.

პატარა ინტერვიუ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარესთან, რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატ ხათუნა გოგიბერიძესთან.

— დღეს განსაკუთრებული დღე გვაქვს — შრომის ზეიმი, რომელსაც ვატარებთ დევიზით „დიდება შრომას!“ ველით ძვირფას სტუმრებს — რუსთაველ მეტალურგებს. მათ შორის იქნებიან ცნობილი თაოსნობის „არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“ ავტორი ოთარ წითლიძე, საკავშირო კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატი, ჩქაროსანი მეტალურგი ოთარ ლომიძე და სხვა მოწინავე მეტალურგები.

სანამ სტუმრებს მოვიწვევდით, ყველა რაზმში დავამუშავეთ რუსთაველთა თაოსნობა და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რაზმეულში არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო პიონერი.

ჩვენ, პიონერებს, კარგად გვესმის,

* პიონერები ყვავილებით ამკობენ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ შ. გოგორიშვილის საფლავს.

რომ ხარისხის ხუთწლედში უფლება არა გვაქვს ბეჯითად არ ვისწავლოთ.

სოციალისტური ვალდებულება — „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს შევხვდეთ მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით“ — ავიღეთ 2 ოქტომბერს საკავშირო პიონერულ რადიოხაზზე და, ვფიქრობთ, თავს არ შევირცხვენთ.

რუსთაველთა მოწვევა იმიტომაც გავბედეთ, რომ სექტემბერში 16 ტონა ლითონის ნამსხვრევი მივაწოდეთ მეტალურგიულ ქარხანას.

ჩვენი რაზმეულის პიონერებმა კარგად ჩაატარეს ოპერაცია „თეთრი ფარი“, სპეციალური კვირეულის მანძილზე მოვაგროვეთ 17 ტონა მაკულატურა.

18 სექტემბერს შაბათობა მოვაწყვეთ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე, მთლიანად გავწმინდეთ და დავასუფთავეთ ერთი სექტორი.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოწინავე პიონერები: მანანა ნაცარაშვილი, თემურ შელიავა, ნინო ძიძიგური, ბელა კვარაცხელია, მიხეილ ჯოჯუა, ლელა სიდამონიძე, ზაზა საყვარელიძე და სხვები.

ბიბლიოთეკაში მოწყობილი გვაქვს წიგნების თემატური გამოფენა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციას ეძღვნება.

ვმეგობრობთ ჩეხოსლოვაკიის ოსტრავაპარუბას 9-წლიანი და მე-13 საშუალო სკოლის პიონერებთან. ხშირად ვაწყობთ ვიქტორინას, დისპუტს, კონკურსს...

●

... ხათუნას სტუმრებთან მიეჩქარებოდა და აღარ დაგვიყოვნებია.

საუბარი უფროს პიონერხელმძღვანელ ლილი სოზაშვილთან განვაგრძეთ.

საინტერესო გეგმა აქვს რაზმეულს 60 შინაარსიან კვირაზე განაწილებული: შეხვედრები ვეტერან კომკავშირელებთან, მწერლებთან, ჩვენი დღეების გმირებთან, კედლის გაზეთების გამოშვება, რომლებიც კომკავშირელთა საოქტომბრო ვახტზე მოუთხრობენ პიონერებს, შეფებთან კონცერტების გამართვა, „წითელი ვარსკვლავის“ ზეიმი ოქტომბრელთათვის, რევოლუციაზე დაწერილი ქართველ პოეტთა ლექსების შესწავლა...

ისმენ ამ გეგმებზე საუბარს, უცქერი ამ თვალციმციმა გოგონებსა და ბიჭუნებს და ფიქრობ: აი რევოლუციის მთავარი მონაპოვარი, ლენინური თაობა, რომელიც აქედანვე ემზადება დიადი მისიისათვის — კომუნიზმის ასაშენებლად.

ნარგიზა მგელაძე.

ფოტო
ვ. გორისენკოსი.

თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინ ყვირალაშვილი

ოქტომბერი ბუნება

ჩვენი სიმდიდრე, ძალა,
ჩვენი მშვენება ტყეა.
ამ სიჩუმეში, ნეტავ,
ვინ გაისროლა ტყვია.
ვინ გაისროლა ტყვია,
ასე ზედიზედ, გაბმით.
რატომ დამფრთხალა შველი,
ირემი საით გარბის?
შლამში ჩაფლული გნოლი,
გონებას რატომ კარგავს.
ვინ გაუხვრიტა გული
ამდენ ხოხობს და კაკაბს?

●

სინამდვილეა, ნეტავ,
თუ თვალი მიჭრის ცუდად.
დახოცილ თევზთა გროვა
წყლის ზედაპირზე ცურავს.
მოწამლულია შხამით
წვერა, ხრამული, მურწა.
ვინ გაიმეტა, ნეტავ,
ასე უწყალოდ, ურცხვად?

●

ჩვენი ტყეები ხშირი,
ძვირფას ჯიშებით სავსე.
ვინ გააშიშვლა, ან ვინ,
გაამეჩხერა ასე.
ვინ შეპარულა ტყეში,
ვინ იქნევს ცულს და ნაჯახს,
ვინ ანადგურებს ხალხის
წლობით ნაშრომს და ნაჯაფს.
ვინ სპობს ასწლოვან მუხებს,
გაფურჩქნულ, გადაშლილებს,
თვითონ იშენებს სახლს და
საძირკველს აცლის შვილებს?
ამ უგულო კაცს, გულქვას
ბრაკონიერი ჰქვია.
გადავუკეტოთ გზები
სანამ არ არის გვიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა
მერაბიშვილი

თრიალეთის ციალი

მხატვარი
რევაზ
ცუცქირიძე.

ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობამ „თრიალეთის ციალი“ „პიონერის“ კონკურსზე პრემია დაიმსახურა.

ღამეული ცა მოულოდნელად იწყებს კაშკაშს, ვით გიგანტური ცივი ეკრანი და იწყება ფანტასტიკურად მიმზიდველი, თავისი უსაზღვროებით შიშისმომგვრელი სანახაობა-სასწაული: თრთის, უცნაური შუქით ფეთქავს, იკარგება და ისევ ჩნდება, ვითარცა მინიშნება სამყაროს უსასრულოებაზე და მის შეუცნობ სილამაზეზე.

ეს ჩრდილოეთის ციალია — ბოლომდე ჯერაც აუხსნელი ფენომენი... მაგრამ ვის გინახავთ საუკუნო დუმილითა და წყვდიადით მოცული ღამეები სამხრეთის განედებზე?..

ცას დარაჯად შესდგომიან გოროზი მთები, ღრუბელთა გვირგვინოვანი ჯებირით გადაუკეტავთ მისი მისადგომები და სამუდამოდ დადუმებულან. აქ საკვირველების ხილვის უფლება მთებს უნდა შესთხოვო...

— მთაო, გაიღე განძი სულიერი!..

— მთაო, გაიღე!..

მთები ქუხილით უპასუხებენ, ელავს და... ინთება, ფეთქავს საუკუნეებში ერთხელ შობილი საოცრება — თ რ ი ა ლ ე თ ი ს ც ი ა ლ ი.

სკოლის მემატიანის დღიურიდან.

I. შუბნიშანი

— მალემსრბოლი კლდეკარიდან! — იყვირა ბედუკამ და სარკმელს მოშორდა.

ნესტანი და შუქია შეკრთნენ, თავი ასწიეს, ჯერ ბედუკას შეხედეს, მერე კი სარკმელთან მიცვივდნენ.

ვიღაც კაცი ჯაგლაგს მოაჩაქჩაქებდა გზაზე. გოგონებს ფხუკუნი აუტყდათ, ფანჯარას ზურგი აქციეს და რაფას მიყრდნობილებმა თავიანთ ნამუშაკევს გადახედეს.

სამუზეუმო ოთახში იყვნენ. მათ წინ გადაშლილ მთაგორიან რელიეფზე, გრძელი მაგიდა რომ ეჭირა, ჩქერულას ხეობა იკვეთებოდა. არწივის ირაოდან მოჩანდა ნისლით ბოლადენილი გალავნიანი ციხე და წყლიანი ხევები, რამელიღაც კლასში სიმღერის გაკვეთილი იდგა და ლაშქრულივით ისმოდა შორეული მოძახილი...

ცინცხალი ფერებით იყო გაცოცხლებული ნაძვების მწვანე კორომები, მზემოკიდებული ციცაბოები, მზიან ფერდობებში გაბნეული მეჩხერი სოჭნარები, არყნალების თეთრი ხაზები და შერეული ფოთლოვანი ხეები.

თორნიკე ისევ ხატავდა. ფირუზისფერი საღებავით მიუყვებოდა ხეობას და ლურჯი კლდეების ფოსოებში აქაფებულ ჩქერულას აზვირთებდა, ფერს უწმენდდა.

მის ცოტა ზემოთ, მდინარეზე გადარკალულ ქვის ხიდზე მზის პირველ სხივს გადმოევლო და ზედ გადმოეტანა მაღლა მუხნარისაკენ მიმავალი საურმე გზა...

სწორედ იმ გზის ზემოთ, შეკიდებული აღმართის

თავზე, აგებდა ბედუკა ციხე-გალავანს... წებოთი ჰკრავდა ფუნჯით ნახატ მუყაოს კვადრებს.

ისევ იქუხა და ფანჯარაში გაახედა სამივე. რუხ ჯაგლაგზე ამხედრებული კაცი სკოლის ჭიშკარს მოსდგომოდა და მათრახის ტარით აკაკუნებდა.

— უყურეთ ამას, მართლა მალემსრბოლი არ გამოდგა! ალბათ წვიმის ამბები მოაქვს მთებიდან, — თქვა ბედუკამ და ფანჯარა გამოაღო.

ეზოს კარი მეორე ცვლის მოსწავლეებმა გაუღეს მოსულს და ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ჭვრეტა. კაცმა ცხენი მესერზე გამოაბა და ჭიშკარში შემოვიდა. მთლად გაწუწული ჩანდა.

— ნალბანდი სიკლაა, რა უნდა ნეტა? — თქვა ბედუკამ და ღია ფანჯარაში გაყო თავი.

გამხდარი კაცი იყო სიკლა, ყბებშეცვივნული და წვრილთვალება, კოკროჭინა ნაბდისქუდი ეხურა და წარბებამდე სწვდებოდა წინ წამოფარცხული სველი თმა. ღია ფანჯარა რომ დაინახა, შედგა და გაუპარსავი ჭაღარა ნიკაპი მოიფხანა.

— ბიჭო, შენ გაზრდას, მიდი, ვახო მასწავლებელს დამიძახე! — შესძახა ბედუკას.

— ვახო?! — გაიკვირვა ბიჭმა, — ვახტანგ მასწავლებელი ხომ არ გინდოდათ?

— მე რომ ვიცნობდი, მაშინ ვახო ერქვა, — არ დაუთმო კაცმა და მთლად ჩაეკარგა უწამწამო ქუთუთოებში ისედაც წვრილი თვალები. — დაუძახე, ნაჭენები ცხენი მიბია, არ გამიცივდეს. უთხარი, თავს იკლავს-თქო ბეკურაი, ან აუსწრებს ან ვერა...

— მოხდა რამე? — გაღიმებულ ბედუკას მაშინვე გაუქრა ფოსოები მზედაკრულ ლოყებზე, მიბრუნდა და გოგონებს ანიშნა, მასწავლებელს დაუძახეთო.

— მთებში ვიღაცები კლდეს აფეთქებენ და იმის გამოისობით ინგრევა შუბნიშნის ეკლესია, ის კაცი კიდევა ჭკუაზე აღარ არი ამდენი მარტო ყოფნითა...

სკოლის აივანზე ვახტანგი გამოჩნდა, ეტყობოდა, რაღაცას სწერდა, როცა დაუძახეს, ისევ ხელში ეჭირა კალამი.

— კუს წყაროს ზემოთ, იისციხის ჩამოსწვრივ რო კლდეა, ის აუფეთქებიათ და იმის გამოისობითა ერთი კედელი მოერღვა შუბნიშანსა და ეკვდერიც მოენგრა. კიდევ რო ააფეთქონ, მოგჭამა ჭირი...

— შენ რა იცი?

— ახლა იქიდან მოვაჭენებ ცხენსა, მთის სოფელში ვიყავი საქონლის დასაჭედად და გამოვლაზე ვირი დავუნალე ბეკურასა.

— აფეთქებას იქ შეესწარი? — ვახტანგს გაკვირვება დაეტყო ხმაში.

— შეესწარი რომელია, ძირს ვისხედით, პურსა ვჭამდით. ერთიც ვნახოთ, ამწია და დამაგდო რაღაცამა, მერეღა გავიგონე ქუხილი, წამოვხტი და, გზა რო ვერსაით გავიგენი, სუ ასკიკუკუს ვუვლიდი ეკლესიის გარშემო... ამისიგძე თმაი სუ ყალაზე მქონდა დამდგარი...

— მადლობელი ვარ, ჩემო სიკლა, რომ დროზე შეძატყობინე. — უთხრა ვახტანგმა.

სიკლა გაბრუნდა და გზადმიმავალმა ერთხელ კიდევ გამოსძახა:

— მალე ადი, თორემ შეიძლება ბეკურაც თან გაჰყვეს იმ ტაძარსა, რაღაცა არ მომეწონა იმის ლაპარაკი!

— სიკლა ძია, ცხენზე რომ დარდობდი, ოფლი არ შეაშრესო, აგერ სად დაასეირნებენ, — ბედუკა მესერს გადაღმა იშვერდა თითს.

სიკლამ მათრახი შეათამაშა ხელში და ძუნძულით ვავარდა ჭიშკარში. ბედუკა, შუქია და ნესტანი ღია ფანჯრიდან ხედავდნენ გზისპირად გამწკრივებულ მოყიანე ბავშვებს, რომელთა წინ დააცეკვებდა ცხენს მეოვალა სელი ციურა. სიკლა რომ დაინახა, აადავე აუ[illegible]ნი ყალაზე შეაყენა, მერე ქუსლი ჰკრა [illegible] და მისკენ გააქანა. გაჩერებამდე ისკუპა ცხენიდან და აღმა მოკურცხლა. ნალბანდი ცხენისაკენ წავიდა მუჭგაშვერილი და თავისებურად დაუყვავა, არ დამიფრთხესო.

ანაზდად იქუხა. სიკლამ ჩაიჩოქა და თავზე დაიფარა ხელი, მერე წამოდგა, ცხენს აღვირი დაუჭირა და მათრახი დაუქნია ცას.

— ჰა-ჰაი, ბრმავ, შენც მე მიბრიყავებ! — შესძახა და მხრებში თავჩარგული, ბუზღუნით გაუძღვა ჯაგლაგს სახლისაკენ.

— ვის დაემუქრა? — იკითხა სიცილით სახეწამოწითლებულმა ნესტანმა.

— ელიას. ხალხური რწმენით ელია ხომ ბრმაა, სულ არ დაგიდევს თურმე, სად ჩაახეთქებს სეტყვის ღრუბელს, — ვახტანგმა დაფიქრებით გაიარა აივანი...

შუქია ისევ ცას შეჰყურებდა ფართოდ გახელილი შავი თვალებით. ცა შავი ღრუბლის ნაძენძებით იყო მოფენილი, მთებიდან შორეული გრუხუნი ისმოდა.

— ნესა, მოდი, რა გაჩვენო! — გამოსძახა ნესტანს მოპირდაპირე ფანჯარასთან მიმდგარმა თორნიკემ.

— ვახტანგ მასწავლებელი!.. — აღმოხდა ნესტანს, — კი მაგრამ, საით მიდის?

გზაზე ტენტიანი მანქანა მიჰქროდა აღმოსავლეთის მიმართულებით;

— შორიდან მოუვლის. ალბათ იფიქრა, ძველი საბურავებით მოკლეზე ვერ ავალო, — ბედუკა ფანჯარას მოშორდა და კეპი დაიხურა.

— მეც მთაში მივდივარ.

გოგონებმა ყურადღებით შეხედეს და ახლოს მივიდნენ. ოთახში მარატი შემოვიდა, კეხიანი ცხვირიდან სათვალე მოიხსნა და ბეცი თვალებით მიაჩერდა მათ.

— გამაგებინეთ, რა მოხდა?.. რომ იცოდეთ, რა საშუშაოს მოსწყვიტეთ ვახტანგ მასწავლებელი, სირცხვილით დაიწვებოდით, — თხელი ტანის ყლარწა ბიჭს გადაშლილი ძველი წიგნი ეჭირა ხელში და მაღლიდან დაჰყურებდა თანაკლასელებს.

— რა არის? — იკითხა ნესტანმა, ხელის აკვრით მოიშორა სახიდან წაბლისფერი თმის შულო და მხარში ამოუდგა მარატს.

— სომხური ქრონიკაა. დაწვრილებით არის აღწერილი სამცხის ათაბაგის ბრძოლები თურქთა წინააღმდეგ და მოხსენებულია ჩქერულას ხეობაც. განმარტებულია ისიც, თუ რატომ დაერქვა აქ აგებულ ტაძარს შუბნიშანი. ვახტანგ მასწავლებელმა უწინ ეს ადგილი გადმოაქართულა.

— წაგვიკითხე, რა, — ათრთოლებული ხმით ითხოვა შუქიამ. ის მორცხვად იდგა განზე. ყველაზე ნამლევა და ფერმიხდილი.

მარატმა სათვალე მოირგო.

„... და მას ადგილას, სად იქმნა ომი ძლიერი და ივლტოდეს თურქნი და მოსწყვდეს სიმრავლე ფრიადი, დასუეს შუბი, რომელი მდგომარე იყო ხიშნად ეკლესიისა, მის მომასწავლებლად“...

— ახლა კი სწორედ მაგ ტაძარს ანგრევენ ვიღაც არამზადები...

— ვინ?.. სად? — მარატმა დაბნეულად მიმოიხედა.

— აი სწორედ მაგის გასაგებად გაემგზავრა ვახტანგ მასწავლებელი. ბედუკა კისერჩაძვრენილი ჯირკა ბიჭი იყო. დაბლიდან შეჰყურებდა მოსაუბრეს.

— განგაშით გავდივართ, წამოხვალ? ნესტანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალმოჭუტვით უყურებდა დაბნეულ მარატს და ძლივს იმაგრებდა ღიმილს.

მოვიფიქრებო, ჩაილაპარაკა მარატმა და გაბრუნდა. გოგონები დაფაცურდნენ, ფუნჯები, წებოს ყუთები და მუყაოს ნაჭრები მიალაგეს. ხატვაში გართული თორნიკე ახლაღა მოვიდა გონს.

— კიდევ კარგი, დღეს ფიზკულტურა გვქონდა და შარვლები თანა გვაქვს, — ამბობდა ნესტანი და ამხანაგებს აჩქარებდა.

ბიჭები ეზოში გავიდნენ. ფეხბურთის მოედანზე რატი და ავთო დასდევდნენ ბურთს. ავთომ კენწლაობას თავი დაანება და მათკენ წამოვიდა. გოგონებიც მოვიდნენ. მარტო რატიმ არ შეიბერტყა ყურები, კვლავ ბურთს დასდევდა.

— მანქანაში მხოლოდ ოთხის ადგილია, — თქვა ბედუკამ.

— მე სამუშაო მაქვს დასამთავრებელი, — თქვა თორნიკემ და ჭორფლიან ლოყისთავზე შეივლო ხელი. — მარატიც რომ დარჩებოდეს, კარგს იზამდა, კონსულტაციას

— ნესა, დაანებე თავი. ახლა აღმართები დაიწყება და, ვინ იცის, როგორ დაგჭირდეს მაგისი თავი.

ბედუკამ ხელი ჩასჭიდა შუქიას და წინ გაქცეულ ოთ-დიანი ფერდობი მოთავდა და ახლა ციცაბოებს შეკიდებული კლდოვანი ბილიკით უნდა ევლოთ.

წვიმით დასველებულ კლდეებზე ხავსი ბიბინებდა, ხასხასა ფერებით ღაღანებდა რცხილნარი. ყრუ გრგვინვა ისმოდა შორეული მთებიდან.

აქაქანებულები მიიწევდნენ სულ ზევით და ზევით, ქედის თხემთან შეიარაქათეს და ნამიან ხოდაბუნზე გაკვალულ ბილიკს დაადგნენ.

ისევ გაწვიმდა. ბავშვებს მაშინვე ნახნავებს შუა დატოვებულ მიჯნებზე ასვეტილ პანტის ხეებისაკენ გაექცათ თვალი.

— ხომ არ შევფარებოდით? გზა უკვე ახლოს არის აქედან, — იკითხა რატიმ. — თუ მანქანა გამოჩნდა, მაშინვე ვუყელებთ.

— შეფარება აქ საშიშია. მარტოხეები მეხის სამიზნეებია, — თქვა ბედუკამ და წინ წავიდა.

გამიწევდა, რა ფერებით მოვხატო ტაძრის მაკეტი.

— სწორი გადაწყვეტილებაა, ამ ციცაბო აღმართებს ყველა ვერ აირბენს, — ავთო წინ გაქანდა და მაკრატელა შეასრულა უბურთოდ.

ბედუკას აღარაფერი უთქვამს, წინ წაუძღვა გოგონებს, მერე ავთო აედევნა მათ და ქაქანით წამოეწია. რატი გვიან მიხვდა, თუ რაზე თათბირობდნენ ამხანაგები, ბურთი კარისკენ დაარტყა და მათკენ გამოიქცა.

— მანქანაში მხოლოდ ოთხის ადგილია! — გასძახა ავთომ.

— მეხუთეც როგორმე ჩაეტევა, — უპასუხა რატიმ და მერეღა მიმოიხედა — კი მაგრამ, სად არის მანქანა?

— მაღლა ცაში. არ გესმის, ელია რომ გრუხუნით დაარბენინებს? — გაეცინა ნესტანს.

რატიმ ყელმოღერებით შეხედა შარვლიან გოგოს და გაიღრიჭა.

— ასე რად ჩაგიცვამს, შარლოტა, ვიცით — ბიჭი ხარ უშარვლოდაც.

ყველას გაეცინა.

ნესტანს მას შემდეგ დაარქვეს შარლოტა, რაც მისმა დარტყმულმა ბურთმა სათვალეც გაუტეხა მარატს და წარბიც დაუზიანა.

— აქა-იქ წამოკრეფილი ამბებით რომ გაქვს თავი გამოტენილი, იცი კი, ვინ იყო შარლოტა კორდე? — ნესტანმა ამრეზით გახედა მის გვერდით მომავალ ბიჭს.

— ვიცი, რომ მარატი მოკლა, დანარჩენი რა საჭიროა.

— სად წაიკითხე? — არ მოეშვა ნესტანი.

რატიმ მსხვილი ტუჩები დაპროშა და თავი გადააგდო. შუქიამ გადაიკისკისა.

ბილიკზე დაწალიკებით მიდიოდნენ. აწვიმდათ. წვიმა იყო თბილი და წყნარი, როგორც უჩინარი ხელით გაკიდული ლობრედი ფარდა, საამოდ შრიალებდა.

მალე ბედუკა შედგა და უკან მომავლებს დაელოდა. ახლა ქედ-ქედ უნდა წასულიყვნენ დასავლეთისაკენ. თუ მანქანა წამოეწეოდათ, ხომ კარგი, თუ არადა, ასე უნდა ევლოთ ფრიალოებამდე და მერე მარცხნივ დაეხვიათ — ჩქერულას ხეობისაკენ.

რატი პირველი გავიდა გზაზე, წინ გაიშვირა ხელი და ხმამაღლა გასძახა წვიმით გადანამულ შორეულ პიტალოებს:

— ჩვენი მიზანია შუბნიშანი, ვართ ყველა ერთი უბნისანი!

გზა კლდის ნაშალით იყო მოკენჭილი. ნელა მიდიოდნენ. მანქანა უცაბედად წამოადგათ უკანიდან, წვიმის შრიალში ვერ შეიტყვეს მისი მოახლოება. გაკვირვებულები შედგნენ, მიიხედეს და, რაკი იცნეს, მაშინვე შიგ შეცვივდნენ.

— ნესა და შუქია წინ შეიკუნტებიან, ჩვენ კი სამივე უკანა სავარძელზე მოვთავსდებით. მაშ როგორ, პოეტ კაცს ხომ უნდა ჰქონდეს ხელის გასაშლელი ადგილი, — ხმადაბლა, რომ მასწავლებელს არ გაეგონა, ამბობდა რატი.

— ავდარია და აბა რა ვქნა, თორემ სუყველას გაგყრიდით ახლა მანქანიდან, — გულს გარეთ გაუწყრა მასწავლებელი. — ვერ იქნა და ვერ დავუდე ზღვარი თქვენს მეტიჩრობას. ყველგან ცხვირსა ჰყოფთ, გესაქმებათ თუ

არ გესაქმებათ. — მანქანა ნელა მიჰყავდა, მალიმალ ხელს ჰყოფდა და გარედან წმენდდა დაცვარულ მინას.

ისევ რატომ გაბედა, ამხანაგების სახელით ებოდიშებოდა მასწავლებელს, გულმა ვეღარ მოგვითმინა და აბა რა გვექნა, რომ არ წამოვსულიყავითო. ამასობაში ფრიალოებს მიადგნენ და მარცხნივ დაეშვნენ თავდაღმართზე. ვახტანგს ფრთხილად მიჰყავდა მანქანა, დაძაბულობისაგან ოფლით დაეცვარა შუბლი. როცა დაბლა, წისქვილთან ჩავიდნენ და გაივაკეს, მაშინღა ამოისუნთქა თავისუფლად.

— კაცს ისედაც სული კბილით უჭირავს ამ ყირამალა გზებზე და რაღა ამათი დამატება მინდოდა, — ჩიოდა თავისთვის. — ცალკე იმ კაცის დარდი მკლავს, ცალკე — ტაძრისა.

წყალი წვრილ-წვრილ ტოტებად იყო გაშლილი ვრცელ რიყეზე. წინა დღით მოსული წვიმის შემდეგ ფეი დაეწმინდა მდინარეს, დღევანდელი ჟინჟღლი კი ჯერ არ ქცეულიყო ნიაღვრად.

ხეობაში გაკლაკნილი სამანქანე გზა აქ და იქ ნიაღვრებს ჩაეჭამა, ზოგან ნამზღვლევი ეყარა და ნარიყით იყო დაფიჩხული.

— ამ ადგილას კლდეების ვიწრო ჭიშკარში გადის ჩქ

-ული, — თქვა ვახტანგმა და მანქანა შეაჩერა. — გზაც წყალ-წყალ გადის... აქ თვით ანგელოზებიც კი ქოშებს იხდიან. გადადით და აგერ იმ ბილიკით წამოდით, თან ანგელოზის ნატერფალს ნახავთ.

ამის გაგონებაზე გოგონები მაშინვე გადავიდნენ მანქანიდან. რატი წინ გავიდა და მდელოზე მოპენტილი ჭიატა ყვავილები დაკრიფა.

— ეს ყოჩივარდები იმ ანგელოზს დაჰპნევია თმიდან... აგერ, სად დაუკრავს ფეხი.

სველ კლდეს მართლაცდა, როგორც ადამიანის ნატერფალი, აჩნდა ღრმა ფოსო, რომელშიც წვიმის წყალი ჩამდგარიყო. ფოსოს ნაპირები სანთლის ნაღვენთებით იყო შემოგლესილი, შავად აჩნდა კლდეს ძველი ნამწვები.

— ამის შესახებ რამე ლეგენდა იქნებოდა, თორემ სხვანაირად როგორ ირწმუნებდა ხალხი, — დაფიქრებით თქვა ნესტანმა. — აბა შეხედეთ, მორწმუნეებს სანთლებიც ნთებიათ.

— ბეკურა პაპამ რაღა არ იცის, მაგრამ იშვიათად თუ მოვა ლაპარაკის გუნებაზე. მაშინაც ყურს არ უგდებს შეკითხვებს, რაც თვითონ მოეპრიანება, იმაზე ჩამოგივდებს სიტყვას, — დაიჩივლა რატომ.

— ეგ იმიტომ, რომ მობეზრებულია. ვისაც თავში რა მოუვა აზრად, იმას ეკითხება. რობოტი რომ რობოტია, ისიც არ უპასუხებს ყველა კითხვაზე, — გაგულისდა ბედუკა. — სერიოზული ხალხი უყვარს პაპას.

— შენ ხომ ხარ სერიოზული. აბა აგვიხსენი ამ შერეკილ ხალხს, საიდან გამოფრინდა ის ანგელოზი, რომ ასე ღრმა კვალი დატოვა კლდეში, — ავთომ ახლად წამოზრდილი სველი თმა დაიტკეპნა შუბლზე და გამომწვევად შეხედა ბედუკას.

— თუ გინდათ, რომ ბეკურა პაპას გული მოიგოთ, ჯერ ბერბიჭას უნდა დაუძმაკაცდეთ, — გაეცინა ბედუკას, — ჩვენ კი ხელცარიელები წამოვედით.

— ბერბიჭა ვინღაა?

— ბეკურა პაპას ძაღლი.

ჩეროებში წყლით გაჟღენთილი ნეშომპალას სუნი იდგა, ასწლოვანი ხეების ახლად გაშლილი ლორთქო ფოთლები ოდნავ იძვროდა ხეობის სუნთქვით.

მერე შაბიამნისფერი კლდე გამოკრთა, ბავშვები პიტალოზე ჩამოკბილული საფეხურებით ავიდნენ და უცხო სანახაობით მოხიბლულნი, უნებურად შედგნენ.

გალავნის ნანგრევების მიღმა კლდოვან ბორცვზე ალმართული მახვილგუმბათოვანი ტაძარი, მარცხლაც შობივით კაწრავდა ღრუბლიან ცას. მუქი იასამნისფერი ფერადკრავდა ქვიშა-ქვის ფილებით შემკულ ფასადს. თლილი კედლებისა და მაღალი გუმბათის ყელის სარკმლები ოქრომკედით წმინდად ნაქარგ გვირისტად აჩნდა ტაძრის გარე სამოსს, ოღონდ მოშორებით აღმართული სამრეკლო მოჩანდა პერანგშემოძარცული, კირით გადათეთრებული.

გალავნის კარიბჭესთან ბავშვების გამოჩენა მურა ქოფაკს არ გამოჰპარვია, ზანტად წამოდგა და ყეფით გამოეგება. ბეკურა პაპა არ ჩანდა, მერე სადღაც ზემოდან გამოსძახა ძაღლს და ისიც ძუნძულით წავიდა.

ბავშვები ახლოს მივიდნენ ტაძართან და ახლაღა შენიშნეს, რომ მისი ჩრდილო კედელი, ნახევრად ჩამონგრეული და ძირამდე გაბზარული, ძლივს იდგა, ოდნავი ბიძგი კმაროდა მის ჩამოსაქცევად. ამ მხრიდან სხვა მინაშენიც ჰქონდა საყდარს, ისიც მონგრეოდა და კირიანი ქვების გროვა დაბლა ხევში ეყარა.

ბეკურა პაპა გამოჩნდა, ზემოდან ჭალის ბილიკით მომავალი, ეკლესიასთან ახლოს მოსული ბავშვები დაინახა და ყვირილით გამოეკითხა:

— გაეცალენით, განზე გადექით, არაფერი იმზნიოთ, შვილნო!

ბერბიჭაც გვერდით მოსდევდა და გაბმულ ღრენაში ხმადაბალ ყეფასაც გამოურევდა ხოლმე, ვითომდა ჩემი პატრონი მართალს გეუბნებათო.

ბავშვები მაშინვე გაეცალნენ ტაძარს და ისრული თაღით გადახურულ გამურული სამსხვერპლოსაკენ წავიდნენ. ვახტანგს აქ დაეყენებინა მანქანა, თვითონ კი სადღაც წასულიყო.

— თქვენმა მასწავლებელმა დამაბარა, ფეხი არ მოიცვალონ ჩემს მოსვლამდინა, მიუსხდნენ შუა ცეცხლსა და კარგად დაშრნენო, — შესცინა ბეკურამ ბავშვებს და თაღქვეშ დანთებულ კოცონს ხმელი შეშა დაუმატა.

— თვითონ სად წავიდა? — შეეკითხა ბედუკა.

— ბედო ბიჭო, შენც აქა ხარ?.. რა ვქნა, შვილო, ვეღარ გიცანი, თანდათან მაკლდება თვალთა. სად წავიდა და —აფეთქებული კლდე უნდა ნახოს, ჩემი ნათქვამი არ დაიჯერა... რა მიყვეს, კაცო, ხედავ შენა... ერთი იქ გავჩენილიყავი, სხვა არა მინდოდა რა.

— ვინ იყვნენ?

— ძაღლი და მამაძაღლი. რას გაიგებ, ათასი ვინმე დაეხეტება. მოვა კაცი, იმისთანა დოკუმენტს გაჩვენებს, რომა თავისდღეში არც გაგიგონია, არც გინახავს. რა იცი, რა უდევს გულში. შენ უყურე, როგორ ეშმაკურად არის ჩადენილი, ქუხილის დროსა, ეგონათ ალბათ, ერთ ბარაში გავაო... წინათა ხატის შიშითა ახლომახლო ტყეში ტოტს არავინ შეატეხდა ხესა, რომა კბილი გამოეჩიჩქნა, არამცთუ...

— ჩვენ კი შეგნებულად ვუფრთხილდებით წარსულის ძეგლებს, — თქვა შუქიამ.

— ეგ არი გაფრთხილებაი? ლამის ძირს დასცეს ამოდენა ტაძარი.

— ეგეთები ყველა დროში იყვნენ და, საუბედუროდ, ახლაც არიან, რა ჩვენი ბრალია.

— თქვენ ვინ გაბრალებთ?..

— მაშ რა არის, ვსხედვართ და შორიდან შევცქერით, ისიც კი ვერ გაგვიბედავს, რომ შიგ შესვლის ნებართვა ავიღოთ...

— არა, შვილო, ტაძარში ვერ შეგიშვებთ. გუშინვე დიდზე დიდი კლიტე დავადევი. ერთიც ვნახოთ და ჩამოიქცეს, მერე ან ღმერთს რა პასუხი გავცე და ან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხსა. თუ ასე მოგიწადინიათ, მეორე ეკლესიაში წამომყევით, კედლის მხატვრობისა რა გითხრათ, თორემ, რაკი დიდი ტაძრის კედლები შეშინებულია, თუ რამ იყო ან ჭედურობა ან ისე ხატი, სულ პატარაში გავიტანე, ივანე ნათლიმცემლის ეკლესიას შევაფარე დროებითა.

გაწვიმდა. ნელი შრიალი მოედო ხეობას. ორივე მხრიდან ღია ისრული თაღით გადახურული სამსხვერპლო წვიმით გაჯერებული გრილი ჰაერით განიავდა.

— დასველდება, ნეტა სად არის აქამდე? — ნესტანმა ჭალიანში ჩაკარგული ბილიკისაკენ გაიხედა.

— ძაან ვაჟკაცია თქვენი მასწავლებელი, ნამდვილი ვახტანგია, ვინ დაარქვა იმ მამაცხონებულმა. მაგის შიშით კუდს ვერავინ არყევს ამ ხეობაში. ეხლაც არ ვიცი, ვინ გაბედა, ალბათ სახელმწიფო საქმისათვის დასჭირდათ ქვაი... შარშანწინ ქვემოთ სამტეხლოებიდან წაიღეს, მოსაპირკეთებლად გვინდაო...

— რაკი ვახტანგ მასწავლებელი იგვიანებს, დროს უქმად ნუ დავკარგავთ, წავიდეთ, ვნახოთ ივანე ნათლიმცემელი, — თქვა ბედუკამ და საყელო წამოიწია, თითქოს ის უშველიდა ატეხილ წვიმაში, და ეკლესიისაკენ წავიდა.

— მოიცა, გავაღო, ეგეც დაკეტილი მაქვს, — დაფაცურდა ბეკურა.

ეკლესიაში ოდნავ ბნელოდა. საკურთხეველს ღია კარიდან სცემდა შუქი. სანთლისა და ბაზმის სურნელით იყო გაჟღენთილი დახშული ჰაერი. აქ და იქ ნიშებში ხის ჩარჩომოვლებული უბრალო ხატები ესვენა, ზოგზე სულ აღარ მოჩანდა წმინდანთა ფიგურები, წამალაცვენილი ფიცრები ელაგა, რომელთა ზედაპირზე მიმქრალ-კონტურებად მოჩანდა ანგელოზთა გამოსახულებანი; იყო კარგად შენახული, მთლად წითელი საღებავით შესრულებული წმინდა გიორგის ხატება, ძოწისფერებში ჩაცმული კუშტი სახის წვეროსანი მოხუცი და მერე თვით მაცხოვრის ჭედური ხატი.

— ოქროსია? — იკითხა რატიმ და ხელი შეახო ლითონს.

— ადრე რომ ვიყავით, მასწავლებელმა გვითხრა, ელექტრუმიაო — ოქრონარევი ვერცხლი, — უპასუხა ბედუკამ.

— ყველაზე მთავარი კი მაინც ეს ხატია, — ბეკურა პაპამ საკურთხეველთან დასვენებულ დიდ კარედ ხატთან მიიყვანა ბავშვები. — თვითონ ანგელოზი აქ აღარ არი; ძველ დროში სხვა ტაძრისათვის შეუწირავთ საჩუქრად ეს ხატი, რაღაცით არ მოსწონებია ანგელოზს იქაურობა, ეკლესიიდან გაფრენილა და დღესაც არ იციან სად არი...

— ეს ჩარჩო ვიღამ მოიტანა აქ? — დაეჭვებით იკითხა ნესტანმა.

— არ ვიცი. ეს ამბავი იისციხეში მომხდარა. იქ კარგა ხანია ჰქონდათ ეს კარედი ღვთიშობლისათვის განკუთვნილი ამ ცარიელი ბუდით, სანთლებიც დაუნთიათ, შესაწირავებიც მიურთმევიათ, მაგრამ რაკიღა აღარ გამოჩენილა დედაი ღვთისა, ამდგარან და აქ გადმოუტანიათ, შუბნიშანში. ზოგი იმასაც ამბობს, იისციხიდან გამოფრენილ ქალწულ მოწამეს, ქვემოთ რომ კლდეა, იქ დაუკრავს ფეხი და ქოშიც ჩქერულას წყალში დაუკარგავსო. მაგრამ, აბა, რა ვიცით, ეგრე კი იყო?...

ბავშვები გაოცებულები მისჩერებოდნენ გულგამოცლილ კარედს, რომლის ნაპირებზე აშიად დაუდევდა ვერცხლის ფირფიტა თეგით ამოყვანილ ანგელოზთა ფიგურებით. დუმდა ბეკურაც.

— თუ ვინმემ ხელყო, სამუდამოდ წაწყმედილია ამის გამტაცებელი. არასოდეს კაცი ასეთ რამეს არ უნდა მიეკაროს. აი თუნდაც განძი ავიღოთ, რამდენ მძებნელს რგებია სიკვდილი, ამოუცნობი მიზეზითა... რომ გითხრათ, სიცილად არ გეყოფათ... ყოველ განძს ავსული ჰყავს დაპატრონებული.

ბავშვებს მართლაც გაეცინათ ამის გაგონებაზე.

— მეც თქვენსავითა ვჯიუტობდი, სანამ ჩემი თვალით არა ვნახე...

— ვინ, ავსული? — უნდოდ იკითხა რატიმ.

— ჰო, რას გაგიკვირდა, აი როგორც შენ გიყურებ, ისე დამიდგება ხოლმე წინა, — ბეკურამ შინნაქსოვი სვიტრის საყელოში ჩაიყო ჭანგიანი თითი და განზე გასწია, თითქოს ჰაერი აღარ ეყო. ახმახი კაცი იყო, თეთრი თმა-წვერიდან ჩამომჭკნარი ლოყისთავები და საოცრად მეტყველი მარღი თვალები მოუჩანდა.

გარედან ძაღლის ყეფა მოისმა. ბეკურა პაპა კართან მიდგა და გაეხმაურა:

— ჰა-ჰაი, ბერბიჭავ, რა ეშმაკი მოგელანდა!

— ვახტანგ მასწავლებელი ხომ არ მოდის ნეტა? — შუქია კარისაკენ გაიქცა.

ბერიკაცმა გზა დაუთმო ბავშვებს და თვითონაც უკან მიჰყვა. ვახტანგი არ ჩანდა. მოწყენილობა დაეტყოთ ნორჩ სტუმრებს.

— ერთი ოსი ძმაკაცი მყავდა, — ვითომც აქ ალაფერიაო, დაიწყო ბეკურა პაპამ. — მაგარი მონადირე იყო, ამ ხეობის დათვებსა და მგლებს სუყველას ხელიც ჩამორთმევითა და პირზე კოცნით იცნობდა. ბევრჯერ შემხვედრია ამ მთებში. იმაზე ამბობდნენ, ყოველ ნაწვიმარზე მთებში მიდის და ნანიაღვრალებს ჩხრიკავსო, ერთ მიუგნებელ ხრამში ოქროს ფულებსა პოულობსო. არ მჯეროდა, მაგრამ ვატყობდი, გაკეთდა კაცი, ცხვარძროხა მოაშენა და ფუტკარიც იყიდა; იმისთანა ცხენზე იჯდა, თავადიშვილს შეშურდებოდა... ერთხელაც, სწორედ აი ასეთ ნაავდრალზე დამხრჩვალი იპოვეს... მას შემდეგ თვეც არ იყო გასული, თრემლას ხეობაში სანადიროდ წავედი. ნელა მივდიოდი ქვიშიან აღმართზე და უცებ ფეხქვეშ რაღაცა ამიბზინდა. ასე ვიპოვე პირველი უზალთუნი, მერე — მეორე... სამი დღის შემდეგ კი ავსული გამომეცხადა და უკან მომთხოვა ფული.

— ბეკურა პაპა, შენ გაუმჟღავნე, რომ ფული გქონდა, თუ თვითონ გამოიცნო? — გასართობი ამბის მოლოდინში აცმუკდა რატი.

— მთელი უბედურება ეგ არის, რომ არ მახსოვს, მაგრამ ეგეც მიხვედრაა, რომ სუსტი ადგილი მიპოვა. სანამ ფხიზელი ვარ, ქვასავით კაცი ვარ, დავლევ და, მერე ჩემ მაგიერ არაყი ლაპარაკობს... სულ დაწვრილებით ჩაუკენჭავს ხოლმე ჩემ გულისნადებს უცხოსა და უმეცარსა...

ბეკურას ძაღლის ყეფამ შეაწყვეტინა სიტყვა, ქვის ხიდისაკენ დაიწყო ცქერა.

ვახტანგი გამოჩნდა ჭალიანის ბილიკზე, სულ ლორთხი ჰქონდა საჩეხიანი მწვანე ქუდი და ბრეზენტის საწვიმარი. აფორიაქებული ჩანდა, ზედ არ შეუხედავს გარს შემოხვეული ბავშვებისათვის, ბეკურა პაპას შეეკითხა მხოლოდ:

— ახლოს გინახავს აფეთქებული კლდე?

ბერიკაცმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

— უნდა გენახა... აუცილებლად უნდა გენახა... ეს არის რაღაც დღემდე არნახული საოცრება... აი ამაზე იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო...

ბეკურა პაპამ სიტყვა არ დაამთავრებინა ვახტანგს. თეძოზე შემოიდო ხელი და ეზოში გავარდა.

— რა არის, კაცო, მარგებელი, ესა? — ჩამონგრეულ კედელთან მივიდა და ხელი შეახო.

ანაზდად, თითქოს ხელის შეხებას ელოდაო, კიდევ ჩამოიქცა კედლის ნაწილი. ბეკურა უკან გადმოხტა, მაგრამ მაინც წამოეწია მას ავარდნილი მტვრის ღრუბელი და მეწისქვილესავით მოლანგა.

— ნუ წიწმატობ, ბეკურა პაპა, ყველაფერს გავარკვევთ. აბა, ბავშვებო, ჩასხედით მანქანაში! — ვახტანგმა საწვიმარი მოიძრო და მანქანისაკენ წავიდა.

ბავშვები უხალისოდ აედევნენ.

ვახტანგი უკანვე მობრუნდა, საწვიმარი მანქანაში დაეტოვებინა და ახლა პირთამდე სავსე ჩანთა ეჭირა. სამსხვერპლოს თაღქვეშ გაიარა და ცეცხლის პირას სკამად დაგებულ ფილაქანზე სანოვაგით სავსე ტოპრაკები დაწყო.

— ხილი და ბოსტნეულია, — ეუბნებოდა ახლოს მომდგარ ბეკურას, — ხვალ-ზეგ ამოვალ და ახალ ხორცს ამოგიტან. აბა მაგრად იყავი. იმ ნანგრევს ზედ არავინ გააკარო, ფხიზლად გეჭიროს თვალი! — ხელი ჩამოართვა და მანქანას მოაშურა.

ბავშვები უკვე შიგ ისხდნენ.

ბეკურა პაპამ ხევამდე გვერდით მოსდია მანქანას. აბა შენ იცი, ეუბნებოდა ვახტანგი ტაატით მიმავალი მანქანიდან, არაყს არ გაეკარო, ბოსტნეულსა და ხილს მიეძალეო. ბეკურა თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცდურად ჭუტავდა მარო თვალებს.

ბავშვები ჩუმად ისხდნენ. მასწავლებელი დაძაბული იჯდა საჭესთან, ფრთხილად მიჰყავდა მანქანა კლდოვან კაპნებზე, მერე გადაივაკა და სვლას უმატა. ჩქარობდა, უნდოდა მანამდე გასულიყო ხეობიდან, ვიდრე მთლად ჩამოღამდებოდა.

ბედუკა მასწავლებლის უკან იჯდა, დაფიქრებული მისჩერებოდა მის წინ მოძიგძიგე განიერ მხრებს, სარკეში დროდადრო ხედავდა კუშტ სახეს და გუმანით ხვდებოდა, რომ რაღაც ძალიან საინტერესო და დამაფიქრებელი ამბავი მოხდა.

— ვახტანგ მასწ, ვინ არის, რა კაცია ეგ ბეკურა პაპა? — ჰკითხა ნესტანმა. — ისეთი რამეები მოგვიყვა, ზღაპრების წიგნშიც რომ ვერ ნახავ.

— თანაც თქვენ გიმოწმებდათ, თუ არ გჯერათ, თქვენს მასწავლებელს ჰკითხეთო, — დაუმატა შუქიამ.

— მაინც რაო, რა გითხრათ? — როდის-როდის ამოიღო ხმა მასწავლებელმა.

— რომელიღაც კარდახშული ეკლესიიდან ანგელოზი გამოფრენილაო, რაკი იქაურობა არ მოსწონებია. ხატის ცარიელი ჩარჩო გვაჩვენა. აქ იმიტომ ასვენიაო ეს კარედი, რომ მის დაბრუნებას ველოდებითო, — ნესტანს ხმა უთრთოდა.

— ასეთ ლამაზ ადგილებში ლეგენდები საუკუნეებს ცოცხლობენ, — თქვა მასწავლებელმა და ენერგიულად შემოატრიალა საჭე.

პიტალო კლდეებზე შეკიდებული აღმართები დაიწყო, მანქანა აქეთ-იქით ეხეთქებოდა, საუბარი ძნელდებოდა.

— კიდევ იმას ამბობდა, განძს მივაგენი. მაგრამ რად გინდა, რამდენი უზალთუნიც ვიპოვე, იმდენჯერ მოვიდა ეშმაკი და უკან წამართვაო, — ამას უკვე რატი ამბობდა.

მანქანა ზეგანზე გავიდა და მძღოლმაც უფრო თავისუფლად იგრძნო თავი, ახლაღა მოხედა ბავშვებს.

— კარგი კაცია ბეკურა პაპა, მაგრამ რა ქნას, თუ სიბერეს ველარ უმკლავდება, არაყი კი ცუდი მოკავშირეა ასეთ საქმეში. არის ასეთი ცნება — ალკოჰოლური ფსიქოზი... ასეთ ინდივიდებს ბევრი რამ ელანდებათ. მეცოდება კიდეც. მთელი სოფელი ბარში ჩამოვიდა, მარტო ეგ დარჩა მთაში. აუხერებია, მამა-პაპის საფლავებს ვერ მივატოვებო. მაგის მეტი ვინაა მაგ ძეგლების მიმხედავი, ხომ ნახეთ, როგორ დაჰკანკალებს ყოველ კენჭს.

— ვახტანგ მასწ, იისციხესთან ისეთს რას წააწყდით, რომ ასე აღელვებული დაბრუნდით? — ჰკითხა ბედუკამ და გულაჩქროლებული გაინაბა პასუხის მოლოდინში.

ანაზდად კურღელი მოჰყვა მანქანის შუქში. ყურპანტურა დაიბნა, ვერაფრით ვერ მოახერხა გაცლა. ბავშვები თვალებად იქცნენ, რატომ უყიჟინა კიდეც. კურდღელი წინ გავარდა შუქის მიმართულებით. მძღოლმა სვლას უკლო და შორი სინათლეც გამორთო... მერე, როცა ხელმეორედ ჩართო, კურდღელი გზაზე აღარ იყო.

— გვითხარით რა, მასწ, იისციხესთან რა ნახეთ?

ვახტანგმა თავი გააქნია.

— მაგას ჯერჯერობით ვერ გეტყვით. კიდეც რომ გითხრათ, ასე იოლად ვერ მიხვდებით. გახსოვთ, საექსპედიციო რაზმისათვის დასამუშავებელ თემას რომ ვირჩევდით? მაშინ თქვენ მაინცადამაინც არ მოგწონებიათ, იისციხე რომ შემოგთავაზეთ, ახლა კი ერთბაშად დამიგროვდა ძალიან დიდი სათქმელი... საქმე ის არის, რომ, როცა სოფელი თრიმლა აიყარა, ერთმა ას წელს გადაცილებულმა მოხუცმა კაცმა განჯინაში ნაპოვნი ძველი ხელნაწერი გადმომცა. მაშინ ქართული ხუროთმოძღვრების საკითხებზე ვმუშაობდი და მით უფრო დამაინტერესა იქ აღწერილმა ამბავმა. აქამდე უბრალო თქმულება მეგონა, ახლა კი ვხვდები, რომ ისტორიული ქრონიკა ყოფილა. დღეს მე სასწაული ვიხილე...

ვახტანგ მასწავლებელი დადუმდა, ენერგიულად მართავდა საჭეს და ჩაბნელებულ სივრცეს გაჰყურებდა. ბავშვები სულგანაბული ელოდნენ, კიდევ რას გვეტყვისო, მაგრამ სოფლამდე ისე მივიდნენ, რომ კრინტი არ დასცდენია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გიორგი მეგრელელი

ცალთვალა იყო,
ხედავდა მაინც
ყველაზე უფრო შორს
და ჰპოვებდა
მას,
რაცა სურდა,
და გვიტოვებდა
სითბოს,
სიკეთეს,
ლტოლვას და
მიზანს
და სურნელებას
მაღალი მთისას!
მდიდარი იყო,
როგორც ბუნება,
და შეუცნობი,
— როგორც ბუნება...
და საქართველოს
წმინდა სიყვარულს
ფშაურ ფანდურზე
აღუღუნებდა!
დააბიტებდა
ფშავის ბილიკზე
კაცი და ცხრი
გოლიათური.
გაუღიმებდა
დილით პირიმზეს,
მერე კვნესოდა
მისი ფანდური!
და აცრემლებდა პიტალო
კლდეებს
მისი დაცხრილულ
ფილტვების ფეიქვა.
შეშურდა ძლიერ და
ცალი თვალი
ალბათ იმიტომ
მოსტაცა ღმერომ!

მეწიქვილე

ის იჯდა წყნარად,
ღამეს კი გარეთ
ალამაზებდა დიდი სიჩუმე...
არსად არ იყო პატარა ღელე,
ღელეზე კიდევ პატარა ხიდი,
ენთო ნათურა
და კარგად ჩანდა,
როგორ ბრუნავდა დოლაბი ქვაზე
და სარეკელა რეკავდა ზარებს...
და იჯდა წყნარად
და აბოლებდა
ჩიბუხს,
რომელიც ხვიმირასავით
იყო დიდი და სიამის მგვრელი...
იჯდა და მხრებზე ტვირთივით ედო
სამოცდაათი განვლილი წელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანის

დაბადების 60 წლისთავი

შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რევაზ მარგიანის დაბადების 60 წლისთავი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, რევაზ მარგიანი ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა.

რევაზ მარგიანის, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედის სახელმა ჯერ კიდევ ოთხი ათეული წლის წინათ ჰპოვა აღიარება, როცა გამოქვეყნდა ჭაბუკი პოეტის ბრწყინვალე ბალადები: „მირანგულა“, „ამბავი რუსთაველის სვანეთს მისვლისა“ და ლირიკული ლექსები. მას შემდეგ რევაზ მარგიანი მუხლჩაუხრელად, სახელოვნად ეწევა პოეზიის ჭაპანს და ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა მწერლობაში.

რევაზ მარგიანმა არაერთი ლირიკული შედევრით გაამდიდრა ქართული პოეზიის საგანძური. სამშობლოს წინსვლის, ერთა ძმობის, მშობელი ხალხის, სინდისისა და პატიოსნების მხურვალე მომღერლის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. პოეტის ლექსები იმღერება ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში.

დიდი ამაგი მიუძღვის რევაზ მარგიანს ქართული საყმაწვილო ლიტერატურის წინაშე, როგორც შემოქმედსა და როგორც მოღვაწეს. მისი გულთბილი, კეთილხმოვანი და ღრმაზრიანი ლექსები შეისისხლხორცეს ნორჩებმა, კითხულობენ, იზეპირებენ მათ და კიდევ უფრო უღვივდებათ მშობლიური მიწა-წყლის, დედაენის, სწავლის, შრომის სიყვარული. რევაზ მარგიანი წლების განმავლობაში რედაქტორობდა ჟურნალ „დილას“, ხოლო ათი წელიწადი — „პიონერს“. იგი მთელ თავის ნიჭსა და ენერგიას არ იშურებდა საყმაწვილო ჟურნალის ყოველმხრივი სრულყოფისათვის. ღვაწლმოსილი პოეტი დღესაც „პიონერის“ უახლოესი მეგობარია.

„პიონერის“ რედაქცია და რედკოლეგია ნორჩ მკითხველებთან ერთად მხურვალედ ულოცავენ საყვარელ პოეტს დაბადების 60 წლისთავს, სულითა და გულით უსურვებენ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას. დაე მის კალამს კვლავაც ბევრჯერ გაეხარებინოს ჩვენი მოზარდი თაობები!

სად ვიპოვო, ძნელია...

ბევრი და თვალსაჩინო
სიტყვა უნდა დაბადო,
უნდა აღმოაჩინო
სიმღერების საბადო.

უნდა შესძლო სინათლეს
შენი შუქიც ემატოს,
უნდა შესძლო სიმართლე
გულზე გადაგეხატოს.

უნდა ძალა მოკრიბო,
გადირიო ზღვასავით,
უნდა ცაზე მოკრიფო
უთვალავი ვარსკვლავი.

შენი სიტყვა წკრიალა
უნდა მისწვდეს ცის კიდეს,
რომ შენ წამებს კი არა,
საუკუნეს ითვლიდე.

ვიცი, სანატრელია —
ახალი რამ დაბადო.
სად ვიპოვო, ძნელია,
სიმღერების საბადო!

სკათა და ფუტკრის სკათა...

სკათა და ფუტკრის სკათა
ალყა მარტყია, ალყა!
მთის მობიბინე კალთამ
ისევ მაქცია ბალღად!

სიო დაუვლის სათიბს
და ჟრუანტელით ავსებს.
მზეს კი ვეება თათი
დაუდევს გორის ფხაზე.

პანტასთან მოჩქეფს წყარო
და სიო დაქრის გრილი,
სათიბებისკენ ჩქარობს
რუხი შევარდნის ჩრდილი.

სკათა და ფუტკრის სკათა
ალყა მარტყია, ალყა!
მთის მოშრიალე კალთამ
გადამავიწყა დაღლა.

ერთობ ცხელია, ერთობ
მზის გამოწვდილი თათი.
ნუმც მომაცილებ, ღმერთო,
ამ გაუთიბავ სათიბს.

რევაზ მარგიანი.

ვეგობრობა

უკვე წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მეხუთეკლასელმა თამილა ჩალაბაშვილმა ხელში დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“ აიღო. ერთი ამოსუნთქვით ჩაათავა ეს წიგნი. მერე ჟიულ ვერნის სათავგადასავლო რომანებს მიუჯდა, შემდეგ კი ლუი ბუსენარის ნაწარმოებებმა გაიტაცა.

დაასრულებდა თამილა წიგნის კითხვას და მერე კარგა ხანს ისევ მის ტყვეობაში იყო. ხოლო როცა მირაჟი და რომანტიკული ხილვები თანდათან ქრებოდა, ერთგვარი სინანულის გრძნობა ეუფლებოდა.

რამდენჯერ უფიქრია: რომ გავიზრდები, მეც გავემგზავრები ხიფათებით და თავგადასავლებით აღსავსე ქვეყნებშიო.

მერედა, დარჩა კი ისეთი ადგილები, სადაც ცივილიზაციას ფეხი არ შეედგას? არის კი „თეთრი ლაქები“ დედამიწაზე?

ამბობენ, რომანტიკის სფერომ ახლა კოსმოსში გადაინაცვლაო.

არა, კოსმოსი არ იზიდავს რატომღაც თამილას. ურჩევნია აქ, დედამიწაზე იბრძოლოს სიკეთისათვის, ადამიანთა სამსახურში ბუნებრივი სიმდიდრეების ჩაყენებისათვის. მაგრამ ამ ბრძოლას ერთგვარი რომანტიკაც უნდა ახლდეს, უცნაურობები და თავგადასავლები, თორემ უამისოდ ხალხისათვის ზრუნვა აქაც შეიძლება, მის სოფელში — ძველ ანაგაში.

ერთ დღეს თამილამ პიონერულ გაზეთში წაიკითხა, რომ ცხრა ათას კილომეტრს იქით ციმბირში გაჩაღებულია საუკუნის დიადი მშენებლობა; საფუძველი ჩაეყარა ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავითვისოთ ჯერაც ხელუხლებელი ეს მხარე, ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ უზარმაზარი ბუნებრივი სიმდიდრეები.

„აი სად იქნება რომანტიკა და თავგადასავლები!“ — თქვა გულში თამილამ და მაშინვე რუკას ეცა. მეორე დღეს გეოგრაფიის მასწავლებელს სთხოვა, დაწვრილებით ეამბნა ბამის შესახებ.

— ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის სიგრძე, ბავშვებო, — დინჯად დაიწყო გეოგრაფიის მასწავლებელმა, — 3145 კილომეტრი იქნება. იგი გაივლის ისეთ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ არ უცხოვრია ადამიანს. დღეისათვის რკინიგზის ხაზი აღმოსავლეთ ციმბირის ქალაქ უსტ-კუტამდე მიდის. სწორედ ეს ხაზი გაგრძელდება, გაივლის ტბა ბაიკალთან და შორეულ აღმოსავლეთში, მდინარე ამურზე მდებარე ქალაქ კომსომოლსკში შეაღწევს. ამ უზარმაზარ მხარეში კოლოსალური წიაღისეული სიმდიდრეა. გარდა ამისა, აქ ხომ ტაიგაა, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეხებია კაცის ხელი, ჰოდა, რკინიგზას რომ გაიყვანენ, ხალხი დასახლდება, დაბები და ქალაქები გაშენდება...

ბაიკალ-ამურის რკინიგზას მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა აგებს. იქ ახლა 90 ათასამდე მშენებელია ერთ-ერთ დაბას და რკინიგზის სადგურს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც აშენებენ აღმოსავლეთ ციმბირის პატარა მდინარე ნიას ნაპირზე. ნია უსტ-კუტიდან 153 კილომეტრზეა სამხრეთ-აღმოსავლეთით. დაბას ნია-გრუზინსკაია უწოდეს. ახლახან ნიაში რვაწლიანი სკოლაც გახსნეს.

იმ დღესვე გადაწყვიტეს პიონერებმა წერილი და ამანათი გაეგზავნათ ნია-გრუზინსკაიას პიონერებისათვის. წერილის დაწერა თამილას მიანდეს.

თამილამ ერთ-ერთი ნიელი მეხუთეკლასელის სახელი და გვარი გაიგო და წერილიც რაზმის სახელით იმას მისწერა.

„სალამი, უცნობო მეგობარო ნინიკო!

ჩვენ, ძველი ანაგის საშუალო სკოლის მეხუთე კლასის პიონერებმა, გავიგეთ, რომ ცხოვრობთ და სწავლობთ შორეულ ციმბირში, ნია-გრუზინსკაიაში.

სურვილი გვაქვს ვიმეგობროთ თქვენს კლასელებთან. გვინდა გავიგოთ, რა გიჭირთ და რა გილხინთ, და რა წვლილის შეტანა შეგვიძლია საუკუნის დიად მშენებლობაში.

ვიცით, რომ თქვენი მშობლები ერთობ მკაცრ კლიმატურ პირობებში იბრძვიან, რათა ხალხის სამსახურში ჩააყენონ ტაიგა, მაგრამ მაინც ყოველივე ამაზე ერთგვარი

ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს.

საყვარელო ნინიკო, მე ძალზე მხიბლავს ის საიდუმლოებები და რომანტიკა, რაც უთუოდ სდევს ისეთ ადგილზე ყოფნას, სადაც აქამდე ადამიანს არ უცხოვრია. ხანდახან ოცნებაში წასული ვფიქრობ, რა ბედნიერი ხართ, ციმბირის საიდუმლოებებს რომ ეზიარეთ. ოჰ, როგორ მინდა თქვენთან ერთად ვიყო თავგადასავლებით აღსავსე მხარეში!

ნინიკო, კლასის სახელით გთხოვ დაწვრილებით მოგვწერო ყველაფერი... გიგზავნით ამანათს.

მეხუთე პიონერული რაზმის სახელით
თამილა ჩალაბაშვილი"

მოუთმენლად ელოდა თამილა ნიელ მოსწავლეთა პასუხს. რატომღაც ძალიან სჯეროდა, რომ ნიელ ბავშვებს თავს მრავალი სენსაციური ამბავი და ფათერაკი გადახდათ და ყოველივე ამის შესახებ მოსწერდნენ, გულის სიღრმეში ხანდახან იმედი გაჰკენწლავდა: იქნებ შემომითვალონ, ჩამოდი, აქ სწორედ შენისთანები არიან საჭიროო.

პასუხი მალე მოვიდა:

„ძვირფასო მეგობრებო, საყვარელო თამილა! გულითად სალამს გიძღვნით ნია-გრუზინსკაიას რვაწლიანი სკოლის პიონერები.

თქვენ გვთხოვთ, დაწვრილებით მოგვწერეთ ყველაფერიო. კეთილი.

ერთი წლის წინათ იქ, სადაც ახლა ჩვენი დაბაა, ყრუ, გაუვალი ტაიგა იყო. მრავალ ათეულ და ასეულ კილომეტრს ისე გაივლიდი, ადამიანთა საცხოვრებელი არ შეგხვდებოდა.

ერთი წლის წინათ მოვიდნენ აქ მშენებლები საქართველოდან. ბევრი სიძნელე შეხვდათ მათ. პირველად კარვებში ცხოვრობდნენ, 40-45 გრადუსი ყინვა იდგა, სამანქანო გზა არ იყო, საჭირო მასალებსაც ზოგჯერ დროულად ვერ იღებდნენ, მაგრამ წარმატებით დასძლიეს ყველა სიძნელე და ახლა გვაქვს მშვენიერი საცხოვრებელი სახლები, კლუბი, სასადილო, მაღაზიები, შესანიშნავი სპორტდარბაზი, რომლის მსგავსი მთელ ბამზე არ არის თურმე. იქ ჩვენ ვთამაშობთ მინიფეხბურთს, ფრენბურთს, კალათბურთს, ვვარჯიშობთ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში. დაბაში არის ელექტროსადგური, თბილი გარაჟები, საწყობები.

1976 წლის 26 იანვარი ღირსსახსოვარი თარიღია დაბის ისტორიაში, განსაკუთრებით ჩვენთვის, ბავშვებისათვის. ამ დღეს ნია-გრუზინსკაიაში ზეიმით გაიხსნა რვაწლიანი სკოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა წარსულში საყოველთაოდ ცნობილი სპორტსმენი ნადეჟდა დვალიშვილი. სკოლა ჯერჯერობით მოთავსებულია კლუბის ოთხ ოთახში. ბავშვებმა უკვე შეეჩვენით დიდი სტენდი საქართველოზე და ლამაზად გავაფორმეთ კუთხე „ჩვენ გვწერენ საქართველოს მოსწავლეები".

დაბაში გვყავს ცხოველები — რამდენიმე ციმბირული „ლაიკა", ერთი კატა და ერთიც თხა — პეტია. პეტია კარგად შეეგუა აქაურობას და ძალზე გვამხიარულებს.

სკოლაში გვაქვს გეოგრაფიის წრე და მწვანე კუთხე. ხის ყუთებში დავთესეთ ლობიო, ხახვი, ნიორი, რომლებიც აღმოცენდნენ.

უკვე აგებენ რვაწლიანი სკოლის ლამაზ შენობას და ახალ სასწავლო წელს უთუოდ იქ შევხვდებით.

ძალზე გვახარებს თქვენი ყურადღება. მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენს მასწავლებლებს.

პიონერული სალმით
ნია-გრუზინსკაიას რვაწლიანი
სკოლის მოსწავლეები".

სულმოუთქმელად წაიკითხა ეს წერილი თამილამ. წაიკითხა და ერთგვარი უკმაყოფილების გრძნობა დაეუფლა. ვერაფერი ნახა შიგ მოულოდნელი, სენსაციური, ისეთი, რომელიც ასე უხვად არის სათავგადასავლო რომანებში.

„ნუთუ ყველაფერი მწერლების მოგონილია? — უსიამოდ გაჰკრავდა ხოლმე ფიქრი. — თუ ასე არ არის, რატომ არაფერია იქ, გაუვალ ტაიგაში განსაკუთრებული, ამაღელვებელი და დასახსომებელი?..."

მიწერ-მოწერა კი გრძელდებოდა.

სწერდა წერილებს თამილა კლასის სახელით, სთხოვდა მოეწერათ ნიელებს აღმოსავლეთ ციმბირის ჰავაზე, ტაიგის ფლორასა და ფაუნაზე, ნია-გრუზინსკაიას შემოგარენზე, ყოველივე იმაზე, რასაც უშუალოდ განიცდიდნენ ქართველი ბავშვები ნიაზე.

და მოდიოდა უაღრესად თბილი და კონკრეტული პასუხები, რომლებშიც კვლავ და კვლავ არაფერი იყო უცნაური, ფანტასტიკური.

სამაგიეროდ, ბევრი რამ იყო ამ წერილებში ისეთი, რაც ამდიდრებდა ბავშვების ცოდნას და რისი გაგებაც ასეთი წერილებით უფრო შეიძლებოდა. ამიტომ თამილა უკვე დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით კითხულობდა მათ.

ნიელ მოსწავლეთა წერილებს სიამოვნებით ეცნობოდნენ საქართველოს სხვა მრავალი სკოლის მოსწავლეებიც, რომლებსაც მიმოწერა ჰქონდათ მათთან...

...ნია-გრუზინსკაიაში და საერთოდ აღმოსავლეთ ციმბირში ძალზე კონტრასტული ჰავაა. ზამთარში ზოგჯერ მინუს 50-55 გრადუსსაც კი აჩვენებს თერმომეტრი, ხოლო ზაფხულში ხშირად 30 გრადუსი სიცხეა.

დაბის გარშემო დაბალი გორაკებია. გორაკები ტყით არის შემოსილი. ტყე ძირითადად ნაძვნარია. აქა-იქ არყის ხეებსაც შეხვდებით.

ზაფხულში მდინარე ნიას შორი-



მარცხნიდან — ელენე ტარასოვა, ბიბლიოთეკის გამგე მანანა გოდუაძე, ნიელი მოსწავლეები ლია თხელიძე, მაიკო კიკაბიძე და მანანა თარხნიშვილი.

ახლო ტყეში თუ გაისეირნებთ, ყურს საამოდ მოგესალმუნებათ ფრინველთა გალობა და ანკარა ნიას დუდუნი. ფეხქვეშ ფიანდაზად გაგეგებათ ციმბირული ხავსი, ეს მუდმივი თანამგზავრი აქაური ტყისა.

წამდაუწუმ შეხვდებით ტყეში ძირფესვიანად მოთხრილ ხეებს. შეხედავთ და უნებურად გაიფიქრებთ: აქ ალბათ ძლიერი ქარიშხალი იცისო. მაგრამ...

აქ მუდმივი გამყინვარების ზონაა. ზოგან შუაგულ ზაფხულშიც ზედაპირიდან ნახევარ მეტრ სიღრმეზე ისეა გაყინული მიწა, რომ თვით 250-ცხენისძალიანი ბულდოზერის სპეციალურ დანასაც კი უჭირს გაჭრა.

ასეთ პირობებში ხეები იძულებული არიან ფესვები განზე გაიდგან და ოდნავ ძლიერი ქარიც კი საკმარისია, ტყეში გამორჩეული, მაღალი ხე ძირს დასცეს. ამიტომაც არის ტყეში ასე მრავლად ძირფესვიანად მოგლეჯილი გამხმარი ხე.

განუწყვეტლივ დაქრიან ახლა ციმბირის ცაზე შვეულმფრენები, ყურადღებით ათვალიერებენ გარემოს და, თუ სადმე ხანძრის კვალი შენიშნეს, მყისვე იქ გაჩნდებიან, პარაშუტებით ჩაეშვებიან მეხანძრეები და ცეცხლს აქრობენ.

შარშან ასეთი ხანძარი ნია-გრუზინსკაიას ახლოს გაჩენილა. ვეფხვებივით შეჰბმიან ქართველი ვაჟკაცები სტიქიას. ირგვლივ უზარმაზარი თხრილები გაუთხრიათ და ცეცხლისთვის გადაუღობავთ გზა.

ამ დროს ნია-გრუზინსკაიაში სტუმრად ყოფილა ცნობილი რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო. შესანიშნავი სტრიქონები უძღვნა პოეტმა პოემაში „გზაჭრილი“ ჩვენს თანამემამულეთა ვაჟკაცურ შემართებას:

სტუმრად ვიყავი ჩემს ქართველ ძმებთან,
როცა ხანძრებმა ტყე გადათელეს,
დამფრთხალი ცეცხლი შიშისგან ყეფდა
და გაურბოდა მამაც ქართველებს.

... რეგულარულად უგზავნიდნენ წერილებს ბავშვები არდადეგების დაწყებამდე ერთმანეთს. არდადეგების დაწყების წინ ნიელი პიონერები იწერებოდნენ: გადავწყვიტეთ ზაფხული ნია-გრუზინსკაიაში გავატაროთ და ჩვენი სკოლის მშენებლებს შეძლებისამებრ დავეხმაროთო.

ნიაზე ქართველი მშენებლები სახლებს ოთხკუთხად დახერხილი მორებისაგან აგებენ. მორები ერთმანეთს მჭიდროდ ეწყობა, მაგრამ ჭუჭრუტანები მაინც რჩება. უთუოდ უნდა ამოიქოლოს ეს ჭუჭრუტანები ძენძით, თორემ, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიკო და ნიკო კიკაბიძეები



ნადეჟდა დვალიშვილი, შვილებთან ნინიკოსთან და ირასთან ერთად.

ფოტო რევაზ ჩიქოვანისა.

ნათქვამია, ერთი ნემსის წვერისოდენა ჭუჭრუტანიდან ურემი სიცივე შემოვა.

სწორედ ამ ჭუჭრუტანების ამოვსება გაუჭირდათ მშენებლებს ყველაზე მეტად.

— მთელ დღეს მორებს ვზიდავთ, ოღონდ ჭუჭრუტანების ამოვსებას ნუ დაგვავალებთო, — ეხვეწებოდნენ ბრიგადირს.

ბავშვებმა იხსნეს ისინი ამ გასაჭირისაგან. არც ერთი ჭუჭრუტანა არ დაუტოვებიათ ამოუქოლავი.

მერე ამასაც არ დასჯერდნენ. ვანიკო გურგენიძე და ნინიკო დვალიშვილი, თამრიკო და ქეთინო მახარაძეები, მაია და ნიკო კიკაბიძეები, მანანა თარხნიშვილი და ლია თხელიძე სხვენზე ავიდნენ და ურიკებით ნახერხი ყველა კუთხე-კუნჭულში გაშალეს. ზოგმა კი ლურსმნებით ბოძები ერთმანეთს მიაჭედა, უფრო გაბედულმა სახერხი მანქანა „დრუჟბაც“ კი აამუშავა და მორები საჭირო ზომაზე დახერხა...

დადგა პირველი სექტემბერი და პირველად გაისმა ზარის ხმა ახალ, კეთილმოწყობილ სასკოლო შენობაში. პირველად მიუსხდა სასკოლო მერხებს 70-მდე ნიელი ბავშვი...

კვლავ განახლდა ნია-გრუზინსკაიასა და საქართველოს სკოლების პიონერთა მეგობრული მიმოწერა.

გიგლა აბდალაძე.

წითელი წიგნი

ბევრნაირი წიგნი არსებობს დედამიწაზე ფორმით, შინაარსით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული... მაგრამ წიგნებს — ცოდნის ამ სამეფოს ბოლო დროს შეემატა კიდევ ერთი, თავისი შინაარსითა და დანიშნულებით ერთადერთი, განსაკუთრებული — „წითელი წიგნი“.

რამ განაპირობა მისი გამოცემა და რით არის განსაკუთრებული ეს წიგნი? დღეს დიდსა და პატარას კარგად მოეხსენება ის გარემოება, თუ ბუნების დაპყრობით გატაცებულმა კაცობრიობამ, ტექნიკურმა პროგრესმა რა სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ფლორისა და ფაუნის იშვიათი წარმომადგენლები, გადაგვარების, დეგრადაციის გზაზე დააყენა მთელი ლანდშაფტები.

ლიტერატურაში, როგორც სამეცნიეროში, ისე მეცნიერულ-პოპულარულში, ხშირად შეხვდებით სავალალო ცნობას: უკანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე პირისაგან მიწისა აღიგავა მსხვილ ცხოველთა 110 სახეობა და ქვესახეობა. საინტერესოა, რომ ამ 110 სახეობის ერთი მესამედი განადგურდა თვრამეტი საუკუნის განმავლობაში; მეორე მესამედი — მხოლოდ ერთ გასულ საუკუნეში; და კიდევ ერთი მესამედი გაჩანაგდა პრაქტიკულად ახლანდელი თაობის თვალწინ — უკანასკნელ ორმოცდაათ წელიწადში! როგორც ვხედავთ, ცხოველთა დეგრადაცია დედამიწაზე მოსახლეობის ზრდის, ადამიანის ტექნიკური გაბატონების, ურბანიზაციის აშკარად პირდაპირ პროპორციულია.

ყველა ამომწყდარ ნადირ-ფრინველთა დასახელება შეუძლებელია. მათი სანაქებ, მსგავსად დინოზავრებისა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ სურათებით, სამუზეუმო ექსპონატებით, მოგზაურთა აღწერილობით. ზოგიერთი ხომ ახლახან ცხოვრობდა. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი საუკუნის ათ-ოციან წლებში ნადირობდნენ კავკასიის ტყეების ისეთ მშვენებაზე, როგორიც კავკასიური დომბა იყო. 1926 წელს აფხაზეთის მთის ტყეებში მწყემსებმა მოკლეს ამ ცხოველის უკანასკნელი ეგზემპლარი. კინაღამ იგივე ბედი ეწია ევროპულ დომბასაც.

მსგავსი ტრაგედია დაატყდათ თავს დომბების ოკეანისგაღმელ თანამოძმეებს — ბიზონებს. მათი საერთო რიცხვი ამერიკის პრერიებში დაახლოებით 70-80 მილიონს შეადგენდა. თითქოსდა საოცარია, მაგრამ ევროპელმა კოლონისტებმა „მოახერხეს“ სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში ამოეწყვიტათ ამერიკული ბიზონი — „ინდიელთა მოკავშირე“, როგორც მას ინდიელებისათვის ვაწეული სამსახურისთვის უწოდებდნენ. ამ მილიონებიდან ისევ ინდიელთა წყალობით გადარჩა ორი-სამი ათეული ცხოველი. მათი ნამატი — რამდენიმე ასეული ბიზონი ამჟამად სპეციალურ რეზერვაციებშია დაცული.

ასევე მილიონობით ფრთას ითვლიდა კიდევ ერთი ამერიკული აბორიგენი — მოხეტიალე მტრედი, გარეული მტრედების ერთ-ერთი სახეობა. ნადირობის უგნურმა და მასობრივმა კამპანიამ გამოიწვია ის, რომ დღეს ეს ფრინველი ერთიც არ შერჩა ამერიკის ფაუნას.

ამ ორიოდე საუკუნის წინათ უპრეცედენტო ამბავი მოხდა კამჩატკის მახლობლად. საქმე ის არის, რომ სელაპებისა და ზღვის კატებზე მონადირეებმა იქ მდებარე კუნძულებზე პირველად შედგეს ფეხი და ასევე პირველად იხილეს უზარმაზარი, უწყინარი ცხოველები ძუძუმწოვართა კლასიდან — ზღვის ძროხები. გემრიელი ხორცი საბედისწერო აღმოჩნდა მშვიდი გიგანტებისათვის: ოცდაშვიდი წლის შემდეგ კამჩატკის მიდამოებში არც ერთი ზღვის ძროხა აღარ მოიპოვებოდა.

მსოფლიო ფაუნაში ამჟამად აღარ ირიცხებიან ადამიანთა თუნდაც დღევანდელი თაობის მეხსიერებაში შერჩენილი ისეთი უნიკალური წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ: კვაგა (ზებრის მსგავსი ჩლიქოსანი), ბურჩელის ზებრა, შომბურგკის ირემი, ირანული ლომი, ატლასის ლომი, კენგურუს რამდენიმე სახეობა, ზანზიბარის აბრეშუმის მსგავსი მაიმუნი, ფოლკლენდის მგელი, ჩანთოსანი მგელი და ბევრი სხვა. მათ ამოწყვეტაში დამნაშავე არიან ევროპიდან მოსული, ცეცხლმსროლი იარაღით შეიარაღებული ადამიანები; ისინი არ უფრთხილდებოდნენ არც ადგილობრივ ტრადიციებს, არც ბუნებრივ სიმდიდრეს. მათთვის მთავარი იყო ყვითელი ლითონი — ოქრო და ყველაფერი ის, რაც ოქროზე იყიდებოდა. ანადგურებდნენ ძვირფას ნადირ-ფრინველს.

ისტორიას შერჩა „სახელგანთქმული“ გამჩანაგებლების სახელი და მათი რეკორდები. ვინმე აბრაჰამ კინგმა ჩრდილოეთ აფრიკის ნაპირებთან გაანადგურა მილიონი სელაპი; უილიამ კოდი, მეტსახელად „ბაფალოუ (კამეჩი) ბილი“, ყოველწლიურად ხოცავდა 4000 ბიზონს, კარამაჯი ბელმა აფრიკაში დახოცა 2000 სპილო.

დღეს ამ ადამიანთა სახელები ბუნებისადმი ფლანგველური, დაუფიქრებელი და მკაცრი დამოკიდებულების სიმბოლო გახდა. რისთვის ისპობოდნენ ასე მასობრივად ეს და სხვა ცხოველები? ათასობით სპილო ნადგურდებოდა მხოლოდ ეშვებისათვის, მარტორქები — ერთადერთი რქისათვის, სირაქლემები და წეროები — ფრთა-ბუმბულისათვის, ლეოპარდები — ტყავისათვის, ზოგიერთები უბრალოდ ისე — სპორტული ინტერესისათვის...

საბედნიეროდ, ბუნების, ფაუნის განადგურება ყოველთვის როდი ატარებს ისეთ მკაცრ, დაუფიქრებელ ხასიათს, როგორც ეს ზემომოყვანილ ფაქტებშია ასახული. ბევრ შემთხვევაში იგი ადამიანის არაპირდაპირი მოქმედების შედეგია. ტყეების გაჩეხვა, ჭაობების დაშრობა, შხამქიმიკატების მასობრივი გამოყენებაც სპობს ან მოსპობის გზაზე აყენებს ცოცხალ ორგანიზმებს; ცალკეულ ინდივიდებს, ანდა მთელ ჯგუფებს.

მაგრამ ყველა ცხოველის გადაშენება ადამიანის მიზეზით როდი ხდება. დედამიწის პირიდან მათი გაქრობა განპირობებულია ცოცხალი მატერიის განვითარების კანონზომიერებით — ევოლუციით: მოძველებული, კონსერვატორული ფორმები მათი გარემო პირობებისადმი შეუგუებლობის გამო გადაშენდებიან, მათ ადგილს პროგრესული, გარემოს კონკრეტული პირობებისადმი კარგად „მორგებული“ ფორმები იჭერენ. ასე გადაშენდნენ დინოზავრები და სხვა გიგანტური ქვეწარმავალნი. ევოლუციის კანონებით იგივე ბედი ემუქრებათ ახლანდელ გიგანტებს — სპილოებს, ვეშაპებს, მარტორქებს. მაგრამ „ევოლუციურ ჩიხში“ მომწყვდეულ ცხოველებსაც სიცოცხლეს უსწრაფავს თოფით შეიარაღებული ადამიანი. ასე რომ ჩინეთის ბამბუკის „დათვები“ — პანდები, ტასმანიური მგელი ანდა ია-

ვური მარტორქა, როცა მათზე საოცარი მოთხოვნილებაა მსოფლიოს ზოოპარკებსა და შავ ბაზარზე, არა მარტო ევოლუციის გარდუვალი მსხვერპლნი ხდებიან...

მართალია, დღეს უკვე აღარ შეიძლება თავიდან შეიქმნას „ზღვის ძროხა“ ანდა გიგანტური პინგვინი, მაგრამ აბსოლუტური გადაშენების მიჯნამდე მისულ ცხოველთა გადარჩენა კი შესაძლებელია. რას ვგულისხმობთ „გაქრობამდე მისულ სახეობებში“? სახეობა მაშინ ითვლება დასაღუპად, განწირულად, როცა სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას და ინდივიდთა რიცხვი ათასზე ნაკლებია.

ნამდვილი იშვიათობაა პრჟევალსკის ცხენი — ცენტრალური აზიის უდაბნოებში შმაგად მარბენალი ველური ცხენების ეს უკანასკნელი წარმომადგენელი. ამჟამად გობის უდაბნოში ბინადრობს ორმოცი სულისაგან შემდგარი პრჟევალსკის ცხენის რამდენიმე ჯოგი. აზიის მატერიკის სამხრეთით გვხვდება იავური მარტორქა. მთელი ჯოგი ითვლის სულ 20-30 თავს. ნახევარ ათეულზე მეტი არ იქნება ამიერკავკასიური ჯიქი. შემაშფოთებელი მდგომარეობა ექმნება ზოგიერთ ფრინველსაც. დედამიწაზე ითვლიან სულ 60 კალიფორნიულ კონდორს, 30-ზე ცოტა მეტს თეთრ ამერიკულ წეროს, ასამდე მანჯურიის წერ[illegible] და ა. შ.

[illegible]ძლება ასეთი კითხვაც დაგვებადოს: რისთვის არის საჭირო დავიცვათ ცხოველები, მცენარეები, რომლებიც, როგორც ჩანს, მხოლოდ აკადემიურ ინტერესს წარმოადგენენ? სინამდვილეში ამ სახეობათა მნიშვნელობა ძალზე მრავალგვარია, ისინი სჭირდებათ მეცნიერებს. ბევრი „ჩასაფერფლად“ გაწვრილული სახეობა უნიკალურია თავისი გარეგნობით, ქცევით, ცხოვრების ნირით, გვევლინება, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ცოცხალ ნამარხად, შორეული გეოლოგიური წარსულის მემატიანედ, აქვს, ანდა შეიძლება შეასრულოს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა — გამოყენებული იქნეს საკვებად. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით აფრიკაში, გაცილებით რენტაბელურია გარეულ ჩლიქოსანთა დაცვა-მომრავლება და შემდეგ მათზე გეგმაზომიერი ნადირობა, ვიდრე შინაურ ცხოველთა მოშენება. დღეს ეს უკვე ხორციელდება საბჭოთა კავშირში: შუა აზიაში დაიწყეს ერთ დროს გადაშენების პირას მდგარი, ახლა კი ორ მილიონამდე მიღწეულ საიგაკზე (ნახევარუდაბნოების ქურციკი) სამრეწველო ნადირობა. თხუთმეტიოდე წლის წინათ არავის თავში არ მოუვიდოდა აზრად დელფინის მოშინაურება, დღეს კი იგი სრულიად სერიოზულ საქმედ მიაჩნიათ.

ცხოველთა უნიკალურ სახეობათა გაქრობით კაცობრიობა დგება ფრიად არახელსაყრელი პერსპექტივის წინაშე — ვიცხოვროთ მხოლოდ კოღობუზების, თაგვებისა და ბეღურების გარემოცვაში. ასეთი პერსპექტივა კი, რა თქმა უნდა, არავის გაგვახარებს. ცხოველთა სამყაროს შენარჩუნება სჭირდება იმიტომ, რომ თითოეული სახეობა, მელა იქნება ეს, ყარყატი თუ თაგვი — ბუნების განუმეორებელი ქმნილებაა. შეიძლება თავიდან შევქმნათ ავტომობილი, ავაგოთ სახლი, აღვადგინოთ ქანდაკება... დაკარგული ცხოველის ხელახალი კონსტრუირება კი შეუძლებელია! ჩვენს დროში ამერიკული თეთრი წეროს თუ ამიერკავკასიური ჯიქის მოკვლა ლიბანური კედრასა თუ უთხოვარის მოჭრა იგივეა, რაც ძველებური ტაძრის ვიტრაჟის ქვით ჩამტვრევა, ნიკორწმინდის ჩუქურთმის სატეხით დაზიანება!

დღეს პირისაგან მიწისა აღგვა ემუქრება ცხოველთა კიდევ ექვსას (!) სახეობას. ცხოველთა სამყაროს ექვსასი წარმომადგენლის თავზე ანთია საშიშროების წითელი შუქციმციმა. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა ცხოველთა ექვსასივე სახეობა შეიტანა განგაშის „წითელ წიგნში“.

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული იუნესკოს ბუნების დაცვის განყოფილებასთან შეიქმნა ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი. ამ კავშირში გაერთიანდნენ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები, მათ შორის საბჭოთა კავშირიც. ამ კავშირმა შექმნა მუდმივი საერთაშორისო კომისია — „იშვიათ და მოსპობის გზაზე მდგარ ცხოველთა დაცვის კომისია“. კომისიაში არჩეულ იქნენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, უმეტესად — ეკოლოგები.

ᲐᲤᲗᲐᲠᲘ

„წითელი წიგნის“ პირველ, მეორე და მესამე ტომებში შეტანილია ძუძუმწოვრების, ფრინველების, ამფიბიებისა და ქვეწარმავლების ათასზე მეტი სახეობა და ქვესახეობა. საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან ამ წიგნში შეტანილია 21 სახეობისა და ქვესახეობის ნადირი, 8 სახეობის ფრინველი და სხვა.

ამჟამად საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის „წითელი წიგნების“ პრინციპით შედგენილია და გამოსაცემად მზადდება საქართველოს სსრ „წითელი წიგნი“. იგი შეადგინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის

ᲖᲐᲖᲣᲜᲐ

სახელმწიფო კომიტეტთან არსებულმა ფაუნის დაცვის სექციამ. (თავმჯდომარე პროფ. ბ. ყურაშვილი). წიგნში შეტანილი არიან ჩვენი რესპუბლიკის ფაუნის ისეთი იშვიათი და ძვირფასი წარმომადგენლები, როგორიც არის ძუძუმწოვრებიდან: ამიერკავკასიის ჯიქი, ზოლებიანი აფთარი, ნიამორი, ჯეირანი, წავი, კავკასიური წაულა, ამიერკა-

ᲬᲐᲕᲘ

კასიური ზაზუნა; ფრინველებიდან: კასპიური შერთხი, დურაჯი, ვნოლი, ველის აწყვივი, ხინთქრის ქათამი; თევზებიდან — ატლანტური ზუთხი და სხვა. საქართველოს სხრ „წითელი წიგნი“ დიდ სამსახურს გაუწევს, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის „წითელ წიგნს“ მასალების მიწოდებით, და, მეორე მხრივ, ადგილობრივი ბუნების რესურსების ფლორისა (მცენარეულ საფარზე ცალკე წიგნი იქმნება) და ფაუნის დაცვისა და მოკლა-პაკრონობის საქმის გაუმჯობესებას.

ამგვარად, „წითელი წიგნი“, რომელსაც გადასაფარელი კალენდრის ფორმა აქვს, ცოცხალი დოკუმენტია — იგი ივსება, ზუსტდება, იხვეწება. ყველა დირექტივებულ პირთნებას — მეცნიერს, მონადირეს, ბუნების მოყვარულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ დოკუმენტის შედგენაში. გარკვეული წესითა შეუძლიათ შეტანონ მშობლიური ბუნების დაცვის ამ კეთილშობილი საქმისნობაში პიონერებმაც. ბრაკონიერის, სტიქიური უბედურების, ან სხვა მიზეზით დაჭრილი, „წითელ წიგნში“ შეტანილი ნადირ-ფრინველის ეაგარაწნა, მათ შესახებ სხვადასხვა ცნობის მიწოდება კარგი და საპატო საქმეა.

ასეთი გახლავთ „წითელი წიგნი“ — ბუნების იმპოდი შეფილი დაცვისათვის მოწოდებული წიგნი, ფორმითა და შინაარსით ყველა სხვა წიგნებიდან გამორჩეული, რომელსაც „წითელ ზოლად ეანდეკ ერთი ასეთი ჭეშმარიტი ცნება: სიცოცხლის „რსის გასაკეთად საჭიროა დედამიწაზე შენარჩუნებული იქნეს სიცოცხლე მთელი თავისი მრავალფეროვნებით. დღეს ადამიანმა დაიწყო ამ ცნების სათანადოდ შეფასება. ჩვენი მომავალი თამბეში მარტო ფიტოფუტის არ უნდა ათვალიერებდნენ მუზეუმებში. სანამ ფონა, დიდმა და პატარამ, ყველამ უნდა ვიბრძოლოთ ცხოველებით, ცოცხალი ბუნებით მონიბეებული უდიდესი სიხარულის განსაჩრძოლოებისათვის.

აარნოლდ ვეიეპაკრი,

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეკრძალულია ცხენი

მეფინერული 36-ე ეროვნული სასწავლებელი

მეთვარია ავდორიტეტი

ინგა ბერუაშვილი

— თბილისის 129-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. პიონერებმა ეს დიდი ხნობა გამმიცანადა და რაზმელთან საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს.

მე და ჩემი პიონერები კარგად შეეგუნეთ ერთმანეთს. ის გაზაფხულზე სკოლის კომკავშირის კომიტეტს მდივნის მოადგილედ ამირჩიეს.

სასწავლებელში მისელისთანვე, რაკი უკვე პიონერული და კომკავშირული მუშაობის გამოცდილება მქონდა, კლასბოროს მდივნად ამირჩიეს.

ჩემი აზრით, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე თუ კომკავშირის კომიტეტის მდივანი, უპირველეს ყოველისა, სწავლაში წარჩინებული, დაუზარელი და შრომისმოყვარე უნდა იყოს; ერთხელ ეთერ სოლომონიან გვითხრა: მარტო ესეც არ კმარა, ადამიანებთან საერთო ენის გამოძებნაც უნდა შეეძლოსო. თანატოლებს უნდა უყვარდეს, იყოს თავაზიანი და მეგობარს გაჭირვების ჟამს უშიშრად ამოუდგეს გვერდზეო.

როცა შვეიტკეე ჟურნალ „პაიონერის“ ფურცლებზე პიონერული აქტივის კლუბმა დაიწყო მუშაობა და რომ ერთ-ერთ სეკციას ჩვენი დირექტორი უძღვება, უმალ ეიფიქრე — „რატომ არ შეიძლება, რომ ერთხელ ჩვენც შეეხვიდეთ ერომანეთს, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირელები, ისინი, ვინც სკოლაში პიონერიულ აქტივს ვეღვეკით სათავეში და აქ კი კლასბოროები ჩაგვბარნეს? უფრო ახლოს გავიცნოთ, ჩვენი აზრები გავუზიაროთ ერთმანეთს“.

პრ გაგიჩიდოვეკათ კოლექტივის გაკლოლა

ნანა ხუციშვილი

ერთიფშინდის სკოლაში რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ ვმეშაობდი. შემდეგ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი.

სკმმ ბევრი მქონდა, მთელი რაზმეული გამყავდა მინდორში. საქონლისათვის საკვებს ვიგროვებდით. აქტიური მონაწილეობა მიეიღეთ ოპერაციაში „ნობათი წიქარასთვის“. შარშან ზაფხულში სამი ტონა თივა შეეგროვეთ, ჯილდოებიც დავიმსახურეთ.

მჯერა, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეობა ერთი კარგი სკოლაა. შემდეგ, სადაც უნდა მოხვედეთ, კოლექტივის გაძღოლა არ გაგიჭირდებათ.

ფიანამეკლოლი ენთუზიასტი უნდა იყოს

ლეილა როსტაველი

თბილისის 120-ე სკოლაში რაზმის ხელმძღვანელად ვმეშაობდი. გამოგიტყდებით, ბევრი რამის გაკეთება ვერ მოვასწარი. რატომღაც ჩემს პიონერებს ხშირად არ ეცალათ, ეს მოსკაო, ეს ეცალეო, ეს უცხოური ენის შესწავლაო და რაზმის მეშაობისათვის დრო აღარ რჩებოდათ.

როგორც ვიცით, ეს დამრკოლება ჩვენი ქალაქის ბევრი რაზმის საბჭოს თავმჯდომარესა და ხელმძღვანელს ხვდება.

აქ კი ერთადა ვართ, გაკვეთილებზე, როცა მსოფლიო ვსწავლობთ, და გაკვეთილების შემდეგაც ექსკურსიაზე თუ ეინოფატრეებში. ამით ერთმანეთი ახლოს გავიცანით.

კლასბოროს მდივანი მაგალითი უნდა იყოს სხვებისათვის. პიონეკოდ რაზმშიც ასეა — თუ მის თავმჯდომარეს სპორტი იტაცებს, ვიცი, მთელი რაზმი აპყვება. ასე რომ, წონამძღოლზე, მის ენთუზიაზმსა და გატაცებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ეს საინტერესოა

დონალდ ვეკერანტ

...გამოგიტყდებეთ, ლექციებს ვეწერ. რაკი 142-ე სკოლაში ბევრ ეს-ლ-ლ-ლ

და... დიდი, საინტერესო გზა განვლო და კვლავ მშობლიურ სასწავლებელს დაუბრუნდა. მეც სწორედ ასეთი გზის გავლა მსურს...

უკრაინიდან ჩამოვედი

ნინა კონოვალი

უკრაინის ქალაქ კომუნარკადან ჩამოვედი. ლენინის სახელობის მე-14 სკოლაში ვსწავლობდი. რგოლის ხელმძღვანელი ვიყავი. აქ ჩემს გვერდით ქსოვის პროფესიას ეუფლებიან ქართველი, რუსი, ოსი, ბერძენი, უზბეკი, სომეხი გოგონები. ჩემთან ერთად ცხოვრობენ ლია ფერიხაშვილი, გალია ჟუმანიაზოვა, ასმათ ხუბულოვა, რაია ანონიკოვა, ზამირა ზაფიროვა, სონია დავთიანი, ნატაშა სობოროვა და ტანია პლოხსენოვა. ერთად ვამზადებთ გაკვეთილებს, ერთად დავდივართ კინოში. ჩვენი კლასის ოსტატთან ერთად ვეცნობით თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

მომწონს თბილისი, საქართველო. მიხარია, რომ აქ ჩამოვედი სასწავლებლად.

გული შატილისაკენ მიმიწევს

ნანა შეთეკაური

ლაფანაანთ კარის რვაწლიანი სკოლიდან ჩამოვედი თბილისში. პიონერული დავალების გარეშე არ ვყოფილვარ. აქ კი კლასბიუროს მდივნად ამირჩიეს. სწავლის ხუთოსანიც ვარ და კარგ სპორტსმენადაც ვითვლები. სასწავლებლის სახელს კალათბურთსა და ძალოსნობაში ვიცავ. სიმღერის გუნდშიც ჩავეწერე. როგორც კი თავისუფალი დრო მომეცემა, მაშინვე სპორტდარბაზში გავჩნდები ხოლმე.

დილის გამამხნევებელ ვარჯიშსაც მე ვატარებ. ლექსებსაც ვწერ. ზეპირად ვიცი ვაჟა-ფშაველას ლექსები. ფიქრით სულ ჩემს ფშავ-ხევსურეთში ვარ. თვალწინ მისი სოფლები მიდგას, ჩემი შატილი. სასწავლებლის შემდეგ იქით მინდა გავწიო.

სკოლაში მინდა ვიმუშაო. სადაც ქართული ხალხური ხელსაქმის შემსწავლელ წრესაც შევქმნი. ხევსური ქალების ხელსაქმეს გავაცოცხლებ...

●

ასე რომ, ამ სასწავლებლის რომელ მოსწავლესაც უნდა ჰკითხოთ, ყველას თავისი გატაცება, სურვილი და მისწრაფება აქვს. აქ თითქმის ყველას თავისი საინტერესო საქმე მოუძებნია.

ნანული ვარდიაშვილს სიღნაღის რაიონის სოფ. ვაქირიდან ჩამოჰყვა შრომისმოყვარეობა.

ნანა ბერიძე მე-3 ექსპერიმენტულიდან, თბილისის ყოფილ 39-ე სკოლიდან მოვიდა, ხუთოსანია. სკოლაშიც არ ჰქონია ცუდი ნიშნები.

ლია ღვინიაშვილს მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზრუნვა და ფიქრი ვერც კი წარმოუდგენია. მეგობრის ჭირ-ვარამის გამყოფია. ქვიშხეთელ მაია გიგიტაშვილის ნიშნებში ხუთიანები სჭარბობს. ხშირად იხსენებს ქვიშხეთის სკოლას. იქ ბებია ჰყავს, ყოველ შაბათ-კვირას აკითხავს. თამარ ნუსხელაძე კლასბიუროს მდივანია. ამბობს, თუ ვინმე რამეს დააშავებს, ასე მგონია, მე ჩავიდინე, მე მეხება, მე რომ კარგად მეხელმძღვანელა, ეს არ მოხდებოდაო. სულ იმის ცდაშია, მასწავლებლისა და ოსტატის შენიშვნა არ მიიღოს. ირინე ჭეიშვილი 142-ე სკოლაში იყო რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ. ხშირად იგონებს საკავშირო მარშის სვლაგეზების მიხედვით რაზმის მუშაობას. იგი უკვე კომკავშირელია, კლასბიუროს მდივნის მოადგილეა.

ქეთევან გურგენიძე ლანჩხუთის რაიონიდან სოფელ შრომისუბნის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა. როცა ჰკითხავდნენ, შენი სკოლის რაზმეულის მუშაობაზე რას იტყვიო, ჩუმდებოდა. ეტყობა, სოფლის სკოლაში პიონერულ მუშაობას არც ისე დიდი ყურადღება ექცეოდა. აქ კი კომკავშირული პროჟექტორის წევრია.

რაზმეულისა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს მომავალი გზის არჩევის წინ უთუოდ მოუხდება თანატოლთა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეეკითხებიან, როგორ მიაგნოს თავის მოწოდებას? როგორ მოიქცეს, სად წავიდეს, სად განაგრძოს სწავლა?

დავიხსომოთ — სწავლა გვჭირდება არა მარტო წიგნებით, არამედ ცხოვრებითაც.

ჩვენი მასპინძლები 36-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლიდან არიან, ამბობენ: სასწავლებელს ვერასოდეს დავივიწყებთ, რადგან აქ შევიძინეთ პროფესია, რომელიც სამუშაოზე თუ სახელოსნოში, ლაბორატორიაში თუ მშენებლობებზე მუდამდღე ჩვენთან იქნებაო. აქ სწავლა განუყრელად არის დაკავშირებული მუშაობასთან. ადამიანი შრომაში იზრდება, მამაცი ხდება. ამ დროს ავლენს თავის შესაძლებლობას, უნარს...

ნათელა ფაილოძე.

რი, სქელი ხე რომ დგას, იმას ამოფარებული დაელოდება საზამთროს და წყლიდან ამოიღებს.

— ქუჩაში რომ ხალხი იყოს და დაგვინახონ? — თქვა ალიმ.

— ოჰ, ერთი შენც! — შეუტია აჰმადმა. — თუ ამდენის თავიც აღარა გაქვს, უმჯობესია, საზამთროს ჭამაზე ხელი აიღო. ჩვენ მივდივართ, თუ გინდა, წამოდი, თუ არა და, წადი შინ, დაუჯექი დედაშენს, ზღაპრებს მოგიყვება. დამიხედეთ ამ ლაყეს!

ალიმ ცხვირი ჩამოუშვა, არაფერი თქვა და წავიდა. ყველამ გაკვირვებული მზერა გააყოლა. მერე ჯგუფი დაიშალა.

აჰმადის დედა იცნობდა საკუთარ შვილს. გრძნობდა, რაღაც ცუდად იყო აჰმადი ატეხილი და, როგორც კი სახლში შემოსული დაინახა, ყვირილი აუტეხა:

— ცეცხლი წაგეკიდოს, მოდი, ჭამე რამე, შე სასიკვდილე, შენა! ღმერთმა იცის, სად დაწანწალებ. მუდამ „ჟალეს“ გამზირის შესახვევში დაყიალობ და დათაღლითობ იმ გაფუჭებულ მანსურთან ერთად. შინ მარტო საჭმელად და დასაძინებლად თუ მოხვალ.

მაგრამ აჰმადიც იცნობდა დედამისს. ძალიან ბუზღუნა იყო და აზრი არ ჰქონდა მის აყოლას. ამიტომ არაფერი უპასუხა. სარდაფში ჩავიდა და ხელ-პირი დაიბანა*. შემდეგ შუა ეზოში გამოვიდა და სადილის მოლოდინში აწრიალდა. აჰმადის მამა კანცელარიის მოხელე გახლდათ. შავი პორტფელით დადიოდა, რომელსაც რატომღაც ყოველთვის გასაღებით კეტავდა. პორტფელი მისი განუყრელი ნაწილი იყო. მუდამ საქმიანი, სადილად ხან მოდიოდა, ხან — არა. თუმცა შინ მის ყოფნა-არყოფნას არსებითი მნიშვნელობა არცა ჰქონდა. აჰმადი მთელ დროს მაინც ცუღლუტობასა და ცელქობას ანდომებდა; ისიც იცოდა, დედამისი მოსვლისთანვე ყველაფერს რომ უამბობდა მამას. მამა თავის შავ პორტფელს კუთხეში დადებდა, როზგს აიღებდა და ერთს კარგად გატყეპავდა შენს აჰმადს. ბიჭსაც სხვა გზა არ ჰქონდა, ნებდებოდა. მერე ჩადიოდა სარდაფში და ტიროდა.

---

* ირანში, წყლის სიმცირის გამო, პირსაბანი სარდაფში აქვთ მოწყობილი (მთარგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად აჰმადმა სახურავზე მტრედს მოჰკრა თვალი. სასწრაფოდ შურდულს დასტაცა ხელი, ქვა ჩადო და დაუმიზნა. ქვა ასცდა. მტრედი გაფრინდა, მაგრამ ამ დროს რაღაცის მსხვრევის ხმა გაისმა, რასაც აჰმადის დედის ყვირილი მოჰყვა: რა ამბავია, ჰა? რა მოხდა?! აჰმადს ჯერ არც თვითონ ესმოდა, რაში იყო საქმე. იდგა ასე გოგნებული. ამასობაში დედამისი ეზოში გამოვარდა. — რა ჩაიდინე? რა დაამსხვრიე? — ყვიროდა ის. — რამ დაგამუნჯა? შე უქნარა, ერთი დღე იქნება ისეთი, რომ წყნარად იყო? თქვი ბოლოს და ბოლოს, რა ჩაიდინე? აჰმადი გაშტერებული იდგა. ეშინოდა გამომტყდარიყო, რომ ქვა გისროლა. უნებურად მალული მზერა სახურავისკენ გააპარა და სწორედ ამ მზერამ გასცა. დედამისმა მისადგმელი კიბე კედელს მიაყუდა და ასვლა დაიწყო. ხოლო როცა ზევით ავიდა, უფრო უმატა ყვირილს:

— შენ დაიწვი, შენა, შენ დაგმარხე, არ შეგერგოს დედის რძე! მწნილის ჩასადებად რომ ჭურჭელი გავრეცხე, ის არ გაუტეხია ამ შეჩვენებულს! ღმერთო, ეს რა რისხვაა ჩემ თავზე!

აჰმადი მიხვდა, რომ საქმე წახდა. შინ დარჩენა და მაგარი ცემა ზედა ჰქონდა. გაქცევა ამჯობინა. თავგზააბნეული გარბოდა ქუჩაში. უეცრად მანსურს შეეჩეხა. აჰმადი შეეცადა მეგობრის წინაშე აღელვება დაეფარა და, როცა მანსურმა ჰკითხა, ისადილეო? აჰმადმა თვალი მოარიდა და ისე იცრუა: — ჰო, ვჭამე.

— ალი ხომ მოდის, თაყი და პატარა ჯავადიც მალე შემოგვიერთდებიან, — თქვა მანსურმა.

— წავიდეთ ბაყალთან და ისინიც წამოგვეწევიან, — უთხრა აჰმადმა. საშინლად შიოდა, ახლა მას უკვე ეჩვენებოდა, თითქოს საზამთროს მოპარვის საკითხი მასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო დაკავშირებული.

ბიჭებმა სრულად მოიყარეს თავი და პატარა არამზადების ჯგუფი ახალი თარეშისათვის მოემზადა.

აჰმადმა უკანასკნელად დაუზუსტა ბიჭებს სამოქმედო გეგმა: — თქვენ სამნი დუქანში შეხვალთ ასანთის საყიდლად და რამდენიმე უმნიშვნელო შეკითხვას მისცემთ ბაყალს. თუ ვინიცობაა დუქანში არეულობა შენიშნოთ, შეიცადეთ, სანამ იქაურობა არ დაცარიელდება. მე და მანსურმა კი ჩვენი საქმე ვიცით.

სამი ბიჭი საბაყლოში შევიდა. ბაყალი ჯორკოზე შემომჯდარიყო და თვლემდა. შემოსული ბიჭები რომ დაინახა, უხალისოდ წამოდგა და შეეკითხა:

— რა გინდათ?

პატარა ჯავადანმა, როგორც იქნა, მოახერხა სალმის მიცემა, გული ყელში ებჯინებოდა. ბაყალმა სალმითვე უპასუხა. ალიმ და თაყიმ ალმაცერად გადახედეს ამხანაგს, არ მოეწონათ მისი დაბნევა. ალი ბაყალს მიუახლოვდა:

— ერთი ასანთი მინდა!

— ფულს ეხლავე იძლევით თუ ნისიად გინდათ? — იკითხა ბაყალმა.

— რატომ, ეხლავე მოგართმევთ.

ამასობაში აჰმადმა ყურადღებით დაზვერა გარემო; შემდეგ დუქანს მიუახლოვდა. მაღლა, ამ ადგილიდან ცოტა მოშორებით ერთი თეთრჩადრიანი ქალი არხში რაღაცას რეცხავდა და საქმით ძალზე გართული ჩანდა. ვიღაცამ ველოსიპედი დააპიპინა და ჩაიქროლა. ქუჩაში სხვა სულიერი არავინ ჭაჭანებდა. აჰმადმა რაც შეიძლება სწრაფად დააგორა საზამთრო არხისაკენ. საზამთრო დატრიალდა და წყალში ჩაცურდა. აჰმადს გული მომეტებით უცემდა: „ვაითუ ვინმემ დამინახოს, ან ბაყალმა რომ მომისწროს, ხომ ჩაიშლება ყველაფერი?“

წყალში ჩავარდნილმა საზამთრომ ზღართანი მოიღო. ეს ხმა გარკვევით გაიგონეს დუქანში მყოფმა ბიჭებმა და ერთმანეთს გამარჯვებული მზერა შეაგებეს. გული მოეცათ. საზამთრო კი ცოტაზე გაცურდა და გაიჩხირა. წახდა საქმე. იქ, ქვემოთ, მანსური იცდიდა. აჰმადი სწრაფად მიიჭრა საზამთროსთან და ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარა გაეთავისუფლებინა. შეტოპა პირდაპირ

წყალში, დასველდა და მთლად ტალახში ამოისვარა. სამაგიეროდ, საზამთრო კვლავ დაძრა ადგილიდან. ტრიალ-ტრიალით მიცურავდა საზამთრო. ქვემოთ კი მომლოდინე მანსურს არხზე გადაელაჯებინა. საზამთრო რომ მიუახლოვდა, დასწვდა და გულში ჩაიკრა, ასე რომ, ასანთის კომბინაციაც წარმატებით დაგვირგვინდა.

ერთი წუთიც არ იყო გასული ყოველივე ამის შემდეგ, რომ ერთ-ერთ ცარიელ ქუჩაზე ხუთივე ბიჭმა მიწაზე მოიკალათა.

აჰმადმა საზამთრო ქვაზე დაახეთქა. საზამთრო გასკდა. შემდეგ მოზრდილი ნაჭერი აიღო თავისთვის და სხვებსაც ჩამოურიგა. ბავშვები დააცხრნენ. წვენი წურწურით ჩამოსდიოდათ პირსახეზე. შავი, ეშმაკური თვალები სიამოვნებისაგან უელავდათ. საზამთრო მთლიანად შესანსლეს. აჰმადმა ცოტათი რომ მოიკლა შიმშილი, გუნებაზე მოვიდა და თქვა: ჩვენ უფრო დიდი საქმის გაკეთებაც შეგვიძლია. ტყუილად ვკარგავთ დროს ამ ბინძურ ქუჩებში. ვფიქრობ, ველოსიპედი შეგვიძლია მოვიპაროთ, ან კიდევ — მოტორი. ერთი სიტყვით, რაიმე ისეთი მოვიმოქმედოთ, რომ ჩვენი ცხოვრება სხვანაირად წარვმართოთ.

— ბარემ რომ შეგვიძლია, — გაიმეორა მანსურმა. — რაზე გვეტყობა, რომ არ შეგვიძლია?

დანარჩენი სამი ამ ორს ჩუმად უსმენდა. ბოლოს პატარა ჯავადმა იკითხა:

— აჰმად, შენ ისა თქვი, ხვალ რა ვაკეთოთ?

საიდან უნდა სცოდნოდა აჰმადს, ხვალ რა გადახდებოდა თავს, როდესაც, წესით, ჯერ მამის როზგი ელოდა.

— ეხლა არ ვიცი, — თქვა მან, — კარგად უნდა მოვიფიქრო. თქვენც ერთი, რა დაგემართათ, ერთ დღეს ვერ დაისვენებთ? — და ცოტა ფიქრის შემდეგ დასძინა: — გავიქცეთ!

მანსურმა გაოცებით იკითხა: — გავიქცეთ? ვის უნდა გავექცეთ?

— ჩვენს დედ-მამას, ამ ვიწრო ქუჩებს, გავეცალოთ აქაურობას.

— სად წავიდეთ, აჰმად, ღამე სად ვათიოთ, ან რა უნდა ვჭამოთ? — შეწუხდა ჯავადი.

— ენა გააჩერე, — ჩაერია თაყი, — რა ყველაფრისა გეშინია!

პატარა ჯავადი გაილურსა, ალიმ კი დასძინა: — ვერ გამიგია, რატომ უნდა ავიკრათ აქედან გუდა-ნაბადი?

— მე იმის გაგება მინდა, — თქვა აჰმადმა, — იმ, მამაშენის ცოლს როგორ იტან? მამაშენს ხომ მის მეტი თვალში არავინ მოსდის. შენ კი ძაღლადაც არავინ გაგდებს. ჯერ ღვიძლი მშობლების გაძლება როგორია, რომ შენი ყოფა კარგი იყოს. შემოხვევით, ჯადოს ხომ არ გიკეთებენ? ჯერ კიდევ პატარა ხარ, დაიცა, გაიზრდები და, თუ წინააღმდეგობას გაუწევ, გაგანადგურებენ. იცით, ბიჭებო, ამ უბედურ ალის თავი მგონი ბევრი რტყმევისაგან გაბრტყელებია. მათგან კარგს ნურაფერს ელი, ვირის თავ-ფეხს მოგცემენ. ბიჭებო, მოდი მოედანზე წავიდეთ, ამ ქუჩაში ნუ დავიღუპობთ თავს. — შემდეგ პატარა ჯავადს მიუბრუნდა: — საქმეა საჭირო, თორემ მამაშენივით, მთელი დღეები თრიაქს რომ ეწევა, შენც ხომ არ გნებავს მანგალთან იჯდე და თრიაქი ქაჩო?

— სწორს ამბობს, — წამოიძახა მანსურმა, — მე მზადა ვარ. აჰმად, სადაც გინდა, წადი, მეც შენთან მოვდივარ. ამ ქუჩებში მართლაც რომ ჩავლპით. გავიქცეთ, გავეცალოთ აქაურობას.

— გეგმას, — თქვა აჰმადმა, — ამაღამვე შევადგენ. ხვალ დილით კი აქვე მოვიყაროთ თავი და აგიხსნით, როგორ მოვიქცეთ, სად წავიდეთ და როგორ მოვემზადოთ. გაქცევისათვის წესიერი გეგმა უნდა შედგეს. ესეც საზამთროს ქურდობა ხომ არ არის, რომელსაც ერთი კოლოფი ასანთის დახმარებით შეძლებ. ეს ძალიან თავსატეხი საქმეა.

მზე თითქმის გადასულიყო, როდესაც აჰმადი შინ დაბრუნდა. ეზოში არავინ ჩანდა. სარდაფში ჩავიდა და სახეზე წყალი შეისხა. შემდეგ ზემოთ ამოვიდა და, როდესაც კიბე აათავა, დედამისს შეეჩეხა.

— სად სიკვდილში იყავი? — მწნილის ქილა ხომ დამიმსხვრიე? რომელ თავლაში ისადილე? დახე, ფეხსაცმლითაც უტოპია წყალში!

აჰმადმა არაფერი უპასუხა. მას მხოლოდ იმის გაგება სწყუროდა, მამამისი შინ იყო თუ არა. სულ მალე ესეც გაირკვა. მამამისი მაისურსა და ზოლიან პიჟამაში, როზგით ხელში, პირდაპირ მისკენ მოდიოდა. აჰმადმა ხელები სახეზე აიფარა, რათა დარტყმა აეცილებინა, მაგრამ ამაოდ. მაინც ხვდებოდა თავშიც, სახეშიც, კისერზეც, ხელებზეც, ფეხებზეც, მუცელშიც... მამა არაფერს ამბობდა, პირი ჯიუტად მოეკუმა და ისე ურტყამდა. როგორც კი მამამ ბიჭს ცემა დაუწყო, დედამ ბუზღუნს უკლო. აჰმადმა იცოდა, როგორც კი დედის ბუზღუნი შეწყდებოდა, ეს აუტანლად მტკივნეული დარტყმებიც შეწყდებოდა. დიახ, ის ჯგუფის ხელმძღვანელია. საბურავი გახვრიტა, საზამთრო მოიპარა. ის ხომ „ჟალეს“ გამზირის შესახვევებისა და ჩიხების ღირსშესანიშნავი პიროვნებაა. სწორედ ამის გამო, თუმცა ამ წუთებში აქ არავინ იყო, მისი უმწეობა რომ ენახა, მაინც ითმენდა და არ ტიროდა, სანამ როზგი წარმოუდგენელი ძალით არ მოხვდა ყვრიმალში. ბიჭმა უკვე ველარ შეძლო თავის შეკავება და აბღავლდა. ისეთი ღრიალი მორთო, რომ, არამცთუ დედამ შეწყვიტა ბუზღუნი, მამამაც კი თავი დაანება. ერთ წუთში ყოველივე სიჩუმემ მოიცვა. აჰმადს მთელი ტანი სტკიოდა. სარდაფში ჩავიდა და იქ განაგრძო ტირილი. ერთ ხანს კიდევ ისმოდა მისი ხმა, მერე კი უცებ შეწყდა. ის აღარ ტიროდა. მთელი ქვეყანა თითქმის დუმილს მოეცვა. ტკივილებით გათანგულმა ბიჭმა მშობლების ხმას მოჰკრა ყური. მამა ამბობდა: — ნივთი თუ გინდა, გერმანული ნივთია, გერმანული ბოქლომი, გერმანული ნათურები, გერმანული ხელის მაშუქა. დასწყევლოს, რა გამძლეა ყველაფერი. ეს გერმანელები სულ გენიოსები არიან. როცა ვხედავ, რომ ნივთს აწერია: Made in Germany, უყოყმანოდ ვყიდულობ.

აჰმადს მერე აღარ დაუგდია ყური მამის სიტყვებისათვის. მის თავში ირეოდა მოსმენილი სიტყვები: „გერმანული ნივთები, ყველაფერი გერმანული, ყველა გერმანელი გენიოსია“... ფიქრებში გართულ აჰმადს სულ მალე ჩაეძინა სარდაფის კიბესთან.

შუაღამე იქნებოდა, რომ გამოეღვიძა. შესცივნოდა. ჯერ შეეშინდა, ვერ მიხვდა, სად იყო, შემდეგ ყველაფერი გაახსენდა: ბიჭები, ქუჩები, წყეული მტრედი, შურდული, მწნილის ქილა, დედამისი, როზგი, საშინელი დარტყმა ყვრიმალზე, ტირილი და სარდაფში თავის შეფარება. ხვალ დილით კი გეგმა მზად უნდა ჰქონდეს. გეგმა? ჰო, გაქცევის გეგმა. ამ ქუჩებიდან, მაწყევარი დედისაგან, უწყალო მამისაგან გაქცევისა და თავის დაღწევის გეგმა. რარიგ ეჯავრება ორივე! მთელი ტანი სტკივა, ლოყა გაბუჟებია და გასიებია. რა გულქვა მამა ჰყავს. ხომ შეუძლია, შური იძიოს მამაზე გაქცევით, მაგრამ როგორ? დილამდე კიდევ არის დრო და უნდა მოიფიქროს.

დილაც მალე დადგა. ჯერ კიდევ ყველას ეძინა. ჩუმად შეიპარა ოთახში. კუთხეში შავი პორტფელი და საწოლზე პირქვე დამხობილი მამა დაინახა. ტუჩებზე გამოუცნობი ღიმილი აუთამაშდა. ჩუმად მიეპარა და პორტფელი აიღო. შემდეგ ქუჩაში გავიდა. თუმცა მისთვის ამ პორტფელს არავითარი ღირებულება არ ჰქონდა, მაგრამ იცოდა, მისი დაკარგვით შურს იძიებდა. მანამ იხეტიალა ქუჩებში, ვიდრე ბიჭები თავს მოიყრიდნენ. აჰმადს სახე საკმაოდ შეცვლილი ჰქონდა, მაგრამ მოიმიზეზა, სარდაფში ჩავვარდიო და სხვებსაც არაფერი უკითხავთ.

ბოლოს ერთ-ერთ ქუჩაზე გაქცევის გეგმის შესამუშავებლად თათბირი გამართა.

— როგორ გადავიდეთ გერმანიაში? — იკითხა მანსურმა, როგორც კი აჰმადმა ლაპარაკი დაასრულა, — გერმანია ხომ ძალიან შორს არის? თანაც ჩვენ ინგლისური არ ვიცით.

— ყეყეჩო, ლონდონში ხომ არ მივდივართ, რომ ინგლისური ვილაპარაკოთ. გერმანიაში გერმანულად ლაპარაკობენ.

მანსური დაიბნა. მერე იკითხა:

— კეთილი. გერმანიაში როგორღა წავიდეთ?



— საჭიროა იმ ხიდთან მისვლა, რომლის ქვეშაც რკინიგზა გადის. როდესაც მატარებელი გამოივლის, დავახტებით სახურავზე და ისე წავალთ. ჯერ აქაურობას გავეცალოთ და რაიმე გარკვეულ ადგილს მივაღწიოთ, იქიდან წასვლაზე კი მერე ვიფიქროთ.

— მატარებელმა, რომ ძალზე ჩქარა ჩაიაროს და ვერ დავახტეთ, — თავი გაიქნია პატარა ჯავადმა, — ხომ ჩაიშლება გაქცევა?

— რას ამბობ! ხიდის ქვეშ რკინიგზა უხვევს და მატარებელიც ნელა მიდის. ნამდვილად შევძლებთ დახტომას.

— მერე, ბოლომდე სახურავზე უნდა დავრჩეთ? — იკითხა თაყიმ.

— თუ ვნახეთ, რომ ამინდს კარგი პირი არ უჩანს, ვაგონში ჩავალთ.

ერთხანს გაჩუმდნენ. გეგმა თითქოს კარგი ჩანდა. მატარებელზე დახტომა, უფასო მგზავრობა და მერე გერმანიაში ჩასვლა თითოეულს თავისებურად ეხატებოდა წარმოდგენაში.

— მერე, რატომ მაინც და მაინც გერმანიაში მივდივართ? — იკითხა ისევ თაყიმ.

— ბიჭოს! — თქვა აჰმადმა, — იმიტომ რომ, გერმანული ნივთები, ნათურები, კლიტე, მანქანები, თვითმფრინავები პირველია მსოფლიოში.

— როდის მივდივართ, აჰმად? — იკითხა მანსურმა.

— ეხლავე!

— როგორთუ ეხლავე?

— დიახ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე.

ისევ დადუმდნენ. ბიჭებს ფიქრის დროც აღარ რჩებოდათ. გაქცევის გეგმა ძალზე სწრაფად იღებდა რეალურ სახეს. სიჩუმე ამჯერად ალიმ დაარღვია:

— წავიდეთ,რაღას უდგახართ?

მერე დანარჩენებმაც განაცხადეს თავიანთი თანხმობა და მაშინვე ხუთი ბიჭი ავტობუსის გაჩერებისაკენ გაეშურა.

ხიდზე ხალხი მიმოდიოდა. ხიდის კიდესთან კი ბიჭები იდგნენ. ისინი რკინიგზის ლიანდაგების განლაგებასთან ხიდის სიმაღლეს ათვალიერებდნენ.

— ნამდვილად არ ვიცი, რომელ ლიანდაგზე გამოივლის. ვფიქრობ, შუა უნდა იყოს, — თქვა აჰმადმა.

ყველას გული უფანცქალებდა. ერთმანეთში გადახლართული და მიხვეულ-მოხვეული ლიანდაგები ცივ, მდუმარე და უსასრულოდ გაჭიმულ რკინის გველებივით გაჰკვროდა მიწას. ლოკომოტივების კივილი და მატარებლების მოძრაობა არ წყდებოდა. მატარებლის ყოველ დაკივლებაზე ბიჭების გულისცემა მატულობდა.

— ჩვენ აქ ვიდგებით, — თქვა აჰმადმა. — როგორც კი მატარებელი გამოჩნდება, სათითაოდ დავიწყებთ ხტომას.

— ვინ ჩახტება პირველი? — იკითხა მანსურმა.

— მე ბოლოს ჩავხტები. ჯერ ყველას გაგამგზავრებთ, მერე კი თვითონაც გამოგყვებით, — თქვა აჰმადმა.

— როგორც ჩანს, გეშინია პირველი ჩახტე, — შენიშნა პატარა ჯავადმა.

— მე მეშინია?! შენს ჰაჯის ასეთი რაღაცებისა არ ეშინია, — უთხრა მუქარით აჰმადმა და წაიწია, — მაგრამ თუ მე ჩავხტები პირველი, აქ ზოგიერთმა შეიძლება ქალაჩუნობა გამოიჩინოს. მე კი ჩემი მოვალეობა არ შემეშლება.

— მართალს ამბობს, — თქვა მანსურმა. — სწორედ რომ ბოლოს უნდა ჩახტეს, ის ხომ ჯგუფის უფროსია?! ჯერ ჩვენ გაგვიშვებს, მერე კი თვითონაც გამოგვყვება.

ბიჭები ისევ ჩაჩუმდნენ. გული უკვე ყელში ჰქონდათ მიბჯენილი; მოსახდენი და მომავალი თითქოს ახლა კიდევ უფრო მეტად იყო ბურუსში გახვეული. ის სულ სხვა იყო, რასაც ისინი „ქალეს“ გამზირის მოსახვევებში ჩადიოდნენ. მათი რაიონი იყო და, ბოლოს და ბოლოს, ისიც უმხნევებდათ გულს, რომ დედამამა და ნათესავები საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენდნენ. ახლა მათ გამომეტყველებას ჩვეული სითამამე დაჰკარგოდა. თან ეს გერმანია და მატარებლით მგზავრობა... გერმანიაში ვინღა გაუწევთ მფარველობას? მაგრამ, მეორე მხრივ, მათ იზიდავდა ეს პატარა ავანტიურა და თავგადასავლის ძიების ჟინს უღიზიანებდა. ასე ჯგუფურად გერმანიაში გაქცევა მართლაც ღირსეულ საქმედ გამოიყურებოდა.

ბოლოს აჰმადმა, რკინიგზას რომ გაჰყურებდა, თქვა: — ბიჭებო, მგონი მოდის, მოემზადეთ!

მართალს ამბობდა, მატარებელი გამოჩნდა. ბიჭებს გული კიდევ უფრო აუძგერდათ.

— მანსურ, პირველი შენ ჩახტები, შემდეგ — პატარა ჯავადი, მერე — ალი, თაყი და ბოლოს — მე. მაგრამ ჯერ ეს პორტფელი უნდა ჩავაგდო სახურავზე, რომ ხელები გავითავისუფლო, — თქვა აჰმადმა.

დასასრული იხ. 30-ე გვერდზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგზაურობა ამაღლებაში

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს მაღალმთიანი ლაშქრობების მოწყობის დიდი ტრადიცია აქვს. ამ ზაფხულშიც სასახლის ნორჩ მთასვლელთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს საკავშირო ექსპედიციაში „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა“, თრიალეთის ქედის მწვერვალების დასალაშქრავად გუჯარეთისა და ბორჯომის ხეობისაკენ გაემგზავრა. ეს შემთხვევითი არ იყო, ეს ხეობები წარსულში დიდ როლს ასრულებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამჟამად ეს მხარე თავისი განთქმული მინერალური წყლებითა და ბალნეოკლიმატური პირობებით, ზამთრის სპორტული ბაკურიანით, თრიალეთის ქედის კოპწია მწვერვალებით, ტაბაწყურის ტბით, ცხრაწყაროს ულამაზესი უღელტეხილით საოცრად ლამაზია ზაფხულში. ნისლისა და ჯანღის თხელ საბურველში გახვეული.

ნორჩმა მთამსვლელებმა პირველად თრიალეთის ქედის ერთ-ერთი ულამაზესი ცხრაწყაროს გადასასვლელი დალაშქრეს. უღელტეხილის სიმაღლე ზღვის დონიდან 2458 მეტრია. ცხრაწყაროს გადასასვლელიდან შესანიშნავი ხედი იშლება. კარგად მოჩანს მწვერვალები; საყველიას მთა სანისლო, კოდიანი, ლაშქრობის საბოლოო მიზანი ყარაყაია, რომელიც გეოგრაფიულ რუკებზე შავი კლდის მთად არის აღნიშნული.

ბაკურიანს ჩრდილოეთით ნაძვნარით დაფარული ქედი აკრავს, მას ადგილობრივად სირონის ქედს უწოდებენ. ამ ქედზე გადავლით ჩასვლა შეიძლება სოფელ მზეთამზეში და გუჯარეთის ხეობაში.

გუჯარეთის ხეობა იშვიათი სილამაზისაა, აქ მრავლად არის ძველი ძეგლი, მინერალური წყლები, შესანიშნავი მდებარეობა აქვს სოფელ გვერდისუბანთან ბავშვთა რესპუბლიკური ტურისტული სადგურის ბანაკს, სადაც ზაფხულობით საქართველოს ყოველი კუთხიდან თავს იყრიან ნორჩი მოგზაურები.

რამდენიმე დღე უამინდობის გამო არ ხერხდებოდა გასვლა ჩვენი ძირითადი მიზნის შავი კლდის მთაზე ასასვლელად. 29 ივლისს, დილის 5 საათზე ყველა ფეხზე იყო. ეს მწვერვალი, რომელიც ზღვის დონიდან 2850 მეტრის სიმაღლეზეა, უმაღლესი წერტილია ცხრაწყაროს ქედზე. მწვერვალი კლდოვანია, განსაკუთრებული მოყვანილობა მას გამოყოფს ქედის სხვა მწვერვალებისაგან.

გზა ჯერ ჭალაში მიდის, შემდეგ ქედს აუყვება, კლდეებს შემოუვლის და მეორე მხრიდან ექცევა მწვერვალს, აქ კარგ ამინდშიც კი ნისლია ხოლმე.

ნისლი და ჯანღი მწვერვალზე თან ახლდათ ამსვლელებს. როგორც კი ტყიდან გამოვიდნენ, საშინელი კო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კისპირული წვიმა წამოვიდა, მაგრამ ახლა იგი საშიში აღარ იყო.

ერთი დღის შემდეგ ანდეზიტში გავემგზავრეთ, რომელიც ბაკურიანიდან 7 კმ-ის დაშორებით არის. აქ ანდეზიტის დიდი კარიერებია. ვუყურებთ ძვირფასი ქვის დამუშავებას სპეციალურ ლითონის დიდ წისქვილებში. ვნახეთ მათი დახერხვა მექანიკური გზით და ფხვნილად გადაქცევა, შემდეგ კი მათი დახარისხება სპეციალურ ტომრებში, რომლებიც იგზავნება როგორც საბჭოთა ქარხნებში, ისე საზღვარგარეთ. ანდეზიტი ცეცხლგამძლე ქვაა და მას დიდი გამოყენება აქვს ქიმიურ მრეწველობაში.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თრიალეთის ქედის უდიდესმა ტბაწყურის ტბამ, სადაც თევზის მეურნეობაა, ტბის სიგრძე 7 კმ-ია, სიღრმე — 14 მეტრი (ალაგ-ალაგ 22 მეტრი). ტბა გამდინარეა და ცივი. აქ კარგად მრავლდება კალმახი. ტბას არაჩვეულებრივი ლამაზი მდებარეობა აქვს. სოფელი ტაბაწყური ტბაში შეჭრილია ნახევარკუნძულად. შიგ ტბაში ერთ-ერთ კუნძულზე ნაპოვნია ძველი ქვევრები. სოფელშია წითელი

ასეთ
სურათს,
ძველსა და
ახალ
საქართველოს,
ერთად
შერწყმულს,
მრავლად
იპოვნით
მესხეთ-
ჯავახეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 1

სწავლაც ფრიადზე, შრომაც ფრიადზე!

ყველასათვის ცნობილია, რომ V მეოთხედი შრომითი მეოთხედია, სწორედ ამიტომ შეიქმნა გალავნის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა საწარმოო-შრომითი ბრიგადა, რომელშიც გაერთიანდნენ VIII, IX, X კლასის მოსწავლეები. ბრიგადა, რომელშიც იყო 50 მოსწავლე, გაიყო ორად, № 1 და № 2 ბრიგადებად. № 2 ბრიგადაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბიოლოგიის მასწავლებელი მაყვალა ხუცურაული, ვირიცხებოდით მეტი წილი კომკავშირელები.

გალავნის ექსპერიმენტულმა მეურნეობამ მოსავლელად გაგვიპიროვნა 5 ჰა ლობიო, 15 ჰა ვენახი, 48 ჰა არამსხმოიარე ხეხილის ბაღი.

აღებული ნორმები გავანაწილეთ თითოეულ მოსწავლეზე. გაჩაღდა ჰეჯიბრება ჩვენს შორის. მუშაობა უფრო ხალისიანი, სასურველი გახდა. ყველა ვცდილობდით არ ჩამოვრჩენოდით ამხანაგებს, 5 დღის გეგმა შეგვესრულებინა 4 დღეში. X ხუთწლედი რომ ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია, არც ეს გვავიწყდებოდა.

შრომაში განსაკუთრებული სიბეჯითე გამოიჩინეს კომკავშირელებმა — თ. ხუცურაულმა, ე. ოთაროვმა, ნ. ნავდარაშვილმა, პიონერებმა — ლ. მჭედლიშვილმა, ლ. და მ. ომარაშვილებმა, მ. თათიკაშვილმა, თ. ხუცურაულმა და სხვებმა.

მეურნეობის მუშაკები არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ. მათ დაგვიფასეს შრომა და საკუთარი თანხებით გაგვგზავნეს სამდღიან ექსკურსიაზე ქ. ბათუმში. ექსკურსიით ძალიან კმაყოფილი დავრჩით. ჩვენ, გალავნის საშუალო სკოლის მოსწავლეებს გადაწყვეტილი გვაქვს მომავალ ზაფხულსაც ვიმუშაოთ, დახმარება გავუწიოთ მეურნეობას და ჩვენი შრომით წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობაში.

ზაირა შალაშვილი,
მცხეთის რაიონის გალავნის საშუალო სკოლა, IX კლასი.

მასწავლებლისადმი

(ვუძღვნი ჩემს საყვარელ მასწავლებელს ლუბა დიდბარიძეს)

როცა ჩამესმის შენი ტკბილი ხმა,
შენს მღიმარ სახეს როდესაც ვუცქერ,
მინდა წამოვდგე და მოგეხვიო,
მაგრამ რატომღაც ვჩერდები უცებ.
შენი ღიმილი დედის ღიმილს ჰგავს,
შენი ალერსი ჩემთვის ნანაა,
ის, რასაც თესდი ამდენხანს, ახლა
აღელვებული მწვანე ყანაა.

მარინე შანიძე,
ტყიბულის რაიონის ორპირის საშუალო სკოლა, X კლასი.

გაგაფხული

გაზაფხულია,
ფეთქავს მიწა, ვითარცა გული.
გაზაფხულია,
ველ-მინდვრებში კიაფობს ხნული.
შეხეთ,
მერცხალიც მოფრენილა კუდმაკრატელა
და მზეც იცინის
ჩიორების გასახარელად.
ჩქარა გუგული
ტყეს და ჭალებს დასძახებს „გუ-გუს"
და კომბაინიც გაგვაგონებს
თავისებრ გუგუნს.
თავი ამოჰყვეს ყვავილებმა:
ენძელამ, იამ.
გაზაფხულია ჩვენს მხარეში,
გაზაფხულია.

მარინე კუპატაძე,
ჭიათურის რაიონის ღვითორის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

საყდარი, რომელიც წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების უძველეს ძეგლს. ტაბაწყურში გავეცანით თევზის მეურნეობას, მათი გამრავლებისა და ჭერის საშუალებებს.

ერთხელ კიდევ ვჩერდებით ცხრაწყაროს გადასასვლელზე. ვერ დავმტკბარვართ თრიალეთის ქედის სილამაზით. მხოლოდ აქ შეიძლება შეიგრძნოს ადამიანმა, თუ რამდენად პირქუშია კავკასიონი მასთან შედარებით. აქედან თვალით ვზვერავთ მარშრუტებს, რომელიც გუჯარეთის ხეობაზე მიდის. გუჯარეთ-რეხადან ჯამჯაზაა უღელტეხილით შეიძლება მისვლა წალკაში—მანგლისში—თბილისში. ძამას ხეობით—ქარელში, თეძმის ხეობით — ახალდაბაში — ტანას ხეობით, ატენსა და გორში, მიტარბის გავლით ბაკურიანიდან გუჯარეთში, ბაკურიანიდან თორის გავლით — კახის ტბაზე, ბორჯომბაღში.

შემდეგი ჩვენი მოგზაურობა ბორჯომში, კურორტპარკში იყო. ბორჯომის წყლის ჩამოსასახმელ ქარხანაში გაეცანით მთელ მექანიზებულ პროცესს, მის საექსპორტოდ გამზადებას. დავათვალიერეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ლიკანი, პარკის საბაგირო გზით სადგურის პლატოზე ავედით. მას წინათ მტრისაგან ბორჯომის ხეობის დაცვა ევალებოდა. აქ ციხისა და ძველი ეკლესიის ნანგრევებიღა შერჩენილა, რომლებიც XIV-XV საუკუნით თარიღდება. სადგურის პლატო (ბორჯომის პლატო) წყალგამყოფია გუჯარეთის წყალსა და ბორჯომულას შორის. სადგურის პლატოდან გზა ჩაუვლის კურორტ ტბას, ლიბანს, პატარა ცემს, საკოჭავს და ბაკურიანამდე მიდის. ბოლოს ჩვენი ლაშქრობა დამთავრდა ქალაქ-გამოქვაბულ ვარძიაში ექსკურსიით. კვლავ ცხრაწყაროს უღელტეხილი. ჯავახეთის ზეგანზე ვართ, გეზი ახალქა-

ნვიმაში.
ი. ხაჩატუროვა,
7 წლის.

„დედა ენას"

ის საქართველოს მომავლის სუნთქვა —
საუნჯე არის წიგნი კი არა!
აკინძა სიბრძნე რაც ხალხში უთქვამთ
და გაუტოლა სიტყვა იარაღს.
ის წიგნებს შორის პირველთაგანი
გვესაუბრება რუსთველის ენით;
ის თაობების იყო აკვანი,
ის წიგნი არის აკვანი ჩვენი.
სწავლის, შრომის და გმირობის ამბავს
მოგვაბნევს გულზე იად, ვარდებად;
რამდენი ბავშვიც ისწავლის ანბანს,
იგი იმდენჯერ დაიბადება.

ნელი კანკავა,
სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

კეთილი მასწავლებელი

მოსწავლეებისაგან ხშირად გამიგონია, მკაცრი მასწავლებელი გვყავს. მერე რა, იყოს მკაცრი, თუ სამართლიანი და კეთილია.

ჩვენს სკოლაში არის ისტორიის მასწავლებელი მერაბ მზარეულოვი. ინატრებდით, ნეტავ ბევრ სკოლას ჰყავდეს ასეთი პედაგოგი, როგორიც მერაბ მასწავლებელია.

მერაბ მასწავლებელი ბავშვებს დიდი მზრუნველობით ეკეკვა, მაგრამ მკაცრი მომთხოვნიცაა, ყველას მოუწოდებს სწავლისაკენ, ხშირად გვეუბნება: ცოდნა სიმდიდრეა და მერე იმისთანა სიმდიდრე, სხვასაც რომ გაუნაწილო, შენ არა დაგაკლდება რაო.

მიყვარს მერაბ მასწავლებელი და მის საგანსაც მონდომებით ვსწავლობ.

მარინე სააკაშვილი,
მცხეთის რაიონის სოფ. ქსოვრისის
საშუალო სკოლა, IX კლასი.



ქორწილი. გია ცინცაძე, თბილისის 24-ე საშუალო სკოლა.

ლაქისაკენ გვაქვს. ახლოსა ვართ აბულისა და სამსარის მწვერვალებთან, რომელზეც 1943 წელს სასახლის მთამსვლელებმა დ. ობოლაძის ხელმძღვანელობით დალაშქრეს. გზა საგრძნობლად იცვლება. იგი მიჰყვება ფარავნის წყალს, რომელიც ხერთვისთან მტკვარს უერთდება: აქეთ-იქით მაღალი კლდოვანი მასივები შორიდანვე ზღაპრულ სანახაობას ჰქმნის. ხერთვისის ციხე-სიმაგრე, შემდეგ კი თმოგვი და უცბად, თვალწინ, კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული წარმოგიდგებათ. ეს საოცრება XI-XIII საუკუნეს ეკუთვნის. გაკვირვებაში მოჰყავხართ ყოველ ქვაბულს, საიდუმლო გადასასვლელებს და განსაკუთრებით ტაძარს, რომლის კედლებმა დღემდე შეინახეს ახალგაზრდა თამარ მეფის ფრესკა, მისი სიცოცხლის დროს შესრულებული.

მეორე დღეს ვბრუნდებით უკან, გვენანება, რომ არა გვრჩება დრო ვანის ქვაბების საინტერესო არქეოლოგიური გათხრების სანახავად. პიონერთა სასახლის ამ საინტერესო ლაშქრობაში მოწვეული იყო ექიმად მთამსვლელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მცირე მიწის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი, ორდენოსანი თამარ გოთუა. მოვისმინეთ მისი საინტერესო საუბრები ნოვოროსიისკის ფრონტის შესახებ, სადაც მას, როგორც ქირურგს, გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის გენერალ ლესელიძის გვერდით უხდებოდა ბრძოლა. მან გვიამბო თუ საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში 30 წლის შემდეგ როგორ შეხვდა იმავე მცირე მიწაზე ლეონიდ ბრეჟნევს. ასეთი საუბრები ძალზე საინტერესოს ხდიდა კოცონთან გამართულ საღამოებს.

დ. გოზალიშვილი

საინტერესო სიახლენი

ახალი ასანთი

არც ისე იშვიათად ხანძრის მიზეზი დაუდევრად გადაგდებული ასანთი ხდება. ასანთი კი, რომელიც ახლახან დაამზადეს ამერიკაში, ჩვეულებრივზე ნაკლებად საშიშია: მისი წვის ტემპერატურა ორჯერ დაბალია, ამის გარდა, ახალი ასანთი თავისით ქრება, როგორც კი ალი ღერის შუამდე მიაღწევს.

ახალშობილი — სიცოცხლის მხსნელი

ახალშობილის ჭიპლარს, რომელსაც აქამდე მშობიარობის შემდეგ უბრალოდ აგდებდნენ, შეუძლია ადამიანის სიცოცხლე იხსნას. ასე თვლიან ამერიკელი ქირურგები ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრიდან. ძმებმა დარდიკებმა დაამტკიცეს, რომ ჭიპლარი შესანიშნავი მასალაა ხელოვნური სისხლძარღვებისათვის. მაგალითად, ჭიპლარით ოპერაციის დროს შეიძლება შეიცვალოს სისხლძარღვის დაცმული მონაკვეთი, ამასთან გაცილებით იოლად და ნაკლები რისკით, ვიდრე ეს ხდება პოლიმერებისაგან დამზადებული ხელოვნური სისხლძარღვებით მუშაობისას.

ელექტრომოტოციკლი ევროპასაც ეწვევა

ელექტრომოტოციკლი, რომელიც ამერიკაში პირველად 1974 წელს დაამზადეს, მალე ევროპაშიც გაჩნდება. ახალ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც უხმაუროა და ჰაერს არ აჭუჭყიანებს, უკვე სერიულად უშვებს ლოსანჯელესი. მოტოციკლის სიჩქარეა 40 კილომეტრი საათში, ხოლო 12-ვოლტიანი ორი ბატარეა უზრუნველყოფს მის დამოუკიდებელ მოძრაობას 80 კილომეტრ მანძილზე. ბატარეების დასამუხტავად საკმარისია მისი ჩართვა ჩვეულებრივ ელექტროქსელში.



პარკი უდაბნოში

მსოფლიოში ყველაზე დიდი ეროვნული პარკი მალე გაჩნდება მონგოლეთში, გობის უდაბნოს დასავლეთ ნაწილში. იგი ოთხ მილიონ ჰექტარს დაიჭერს.

ამოცანა, რომელიც მიზნად დაისახეს სწავლულებმა ამ პარკის შექმნასთან დაკავშირებით, იმაში მდგომარეობს, რომ გადაარჩინონ იშვიათი და გადაშენების გზაზე დამდგარი ცხოველთა სახეობები: პრჟევალსკის ცხენი, კულანები, გობის დათვი და ბევრი სხვა.

პალტო ცხვრებისათვის

სუსხიან ამინდში ცხვრებსაც სცივათ, გარდა ამისა, წვიმა და ტალახი მათ მატყლსაც უფუჭებს. თუმცა ავსტრალიელი ცხვრები ცუდ ამინდს აღარ დაგიდევენ. მალე ისინი ჩაიცვამენ ხელოვნური ბოჭკოს პალტოებს. ამჟამად ასეთი ცდები უკვე ეწყობა სამხრეთ ავსტრალიაში. წყალგაუმტარ პალტოებში გამოწყობილი ცხვრები ყოველგვარ ამინდში გადიან საძოვარზე. კარგი იქნებოდა, თუ ისეთ პალტოებს გამოიგონებენ, რომელიც ცხვრის ზრდასთან ერთად გაიწელებოდა.

კერამიკა, როგორც ლითონი

იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სწავლულებმა მიიღეს მინაკერამიკული მასალა, რომელიც ლითონივით იჭრება, შეიძლება მისი მინასავით გათრაშვაც. ამასთან გახურებისას მასალა იწელება, რაც საშუალებას იძლევა დამზადდეს მისგან ყოველგვარი ფორმის დეტალები და კონსტრუქციები. მას უთუოდ ფართო პრაქტიკული გამოყენება ექნება.

გლისერი-ტრაქტორი

ეს ყველგანმავალი, რომელსაც ახლა ცდიან ამერიკაში, წყალში ავითარებს საათში 80 კილომეტრს სიჩქარეს, ხმელეთზე კი 110 კილომეტრამდე. ორიდან ერთი 200 ცხენის ძალის ბენზინის მოტორი აბრუნებს

ბაჭიკი

დასასრული. იხ. გვ. 25.

ყველამ თავი დაუქნია. პატარა ჯავადმა ამოიოხრა. მატარებელმა დაიკივლა და საზარელი ფოლადის გველშაპივით ხიდისკენ გამოემართა, თითქოს ბავშვების გადასაყლაპად გაემზადაო. ის სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. აჰმადი ხიდის მოაჯირთან გაჩერდა. დანარჩენი ბიჭებიც მის უკან ჩამწკრივდნენ. მატარებელი ხიდის ქვეშ შემოვიდა. შემზარავ ხმას გამოსცემდა და ყურთასმენა მიჰქონდა. ხიდი ზანზარებდა.

— ჩახტი, მანსურ! — დაიყვირა აჰმადმა, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგონია. მატარებელი ძალიან ნელა მიდიოდა. აჰმადმა მამამისის გაცვეთილი, შავი პორტფელი ძირს ისროლა. პორტფელი ერთ-ერთი ვაგონის სახურავზე დაეცა. მანსურიც ჩახტა და მშვიდობიანად დაჯდა სახურავზე. მას პატარა ჯავადი მიჰყვა. ალი გაემზადა ჩასახტომად, მაგრამ ფეხი აუცდა და კინაღამ გადავარდა. ამ სანახაობამ თაყი ისე შეაშინა, რომ გაბრუნდა და გაიქცა. აჰმადი ერთხანს გამოუდგა. მისდევდა და ეძახდა: — თაყი! თაყი! ნუ ხარ ბრიყვი, მობრუნდი, მშიშარავ, მიწადასაყრელო!

მაგრამ არა და არ იქნა მისი მობრუნება, თაყი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. აჰმადმა თავი დაანება მის დევნას, გამოტრიალდა და მატარებლის სახურავზე ჩახტა. ძლიერი ქარი ეძგერა სახეში ბიჭს. მატარებელმა სვლას აუჩქარა, საოცრად ირწეოდა და ირყეოდა. შემდეგ რატომღაც ისევ უკლო სიჩქარეს. მერე რომელიღაც სადგურისაკენ გაუხვია და სულ შეანელა სვლა. ნელა, ნელა, მერე სულ ნელა და გაჩერდა კიდეც. სადგურის რეპროდუქტორი აცხადებდა: „მატარებელი „მეშჰედ-თეირანი“ ჩამოდგა სადგურ თეირანში. დამხვდურებს ვთხოვთ სრულ გაჩერებამდე მატარებელთან ახლოს არ მივიდნენ“.

მატარებელი იდგა. ვაგონების სახურავებზე მოჩანდა შავი, გაცვეთილი პორტფელი და ოთხი ბიჭი. ისინი ისხდნენ განცვიფრებულნი და ოდნავ შეშინებულ მზერას აყოლებდნენ მგზავრებს, რომლებიც სწრაფად ჩამოდიოდნენ ვაგონებიდან, ესალმებოდნენ და კოცნიდნენ თავიანთ დამხვდურებს.

სპარსულიდან თარგმნა
ლია ასათიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჰაერო ხრახნებს, მეორე კი საჰაერო ბალიშის ეფექტს ქმნის. მაშ ასე, ჩვენ წინ არის გლისერი — ამფიბია. კი მაგრამ, სად არის მისი სატრაქტორო ნაწილი? მანქანას კაუჩუკის მუხლუხები აქვს, რაც ეხმარება აღმართების, ლერწმით დაფარული ჭაობის გადალახვაში. მუხლუხები მაშინაც სჭირდება, როდესაც მანქანა წყლიდან ქვიან ნაპირზე ამოდის. ამფიბიის ტვირთმზიდაობა 2200 კილოგრამს შეადგენს.

საჰაერო ჰიბრიდი

ერთ აპარატში საჰაერო ბურთისა და შვეულმფრენის შეთავსება საკმაოდ უჩვეულო, მაგრამ ამასთან



მეტად სასარგებლო საქმეა. კალიფორნიაში ჩატარებულმა ამ ახალი მოდელის გამოცდამ უჩვენა, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა ერთი მეტისმეტად მოხერხეული ამწის შექმნისა, რომელიც სახურავახდილ შენობაში ზუსტად დანიშნულ დგილზე დადგამს ვეება აზგებს, ააწყობს ქიმიური კომბინატის კორპუსებს, საზღვაო ხომალდების ძირედიდან კონტეინერებს გადმოტვირთავს.

ახალი საჰაერო აპარატის მოქმედი მოდელის დიამეტრი ხუთი მეტრია, ფრთის სიგრძე — დაახლოებით სამი მეტრი. ფრთები მოძრაობენ აპარატის შიგნით მოთავსებული ელექტრომოტორის საშუალებით, საიდანაც ენერგია გადაიცემა კაბელ-გვარლით. ამწე ძალის 40 პროცენტს ჰელიუმი უზრუნველყოფს.

შემდგომი მოდელი გაცილებით დიდი ზომისა იქნება: დიამეტრი 60 მეტრი, ფრთების სიგრძე — 20 მეტრი. ასეთი საჰაერო ჰიბრიდი შეძლებს ასწიოს 500 ტონის სიმძიმის ტვირთი და გადაიტანოს იგი საათში 75 კილომეტრი სიჩქარით.

იაპონია — მხოლოდ და მხოლოდ ლაბლობები?

ამჟამად იაპონიაში გაცხარებით იხილავენ საკითხს ახალი ნახევარკუნძულების ხარჯზე სახელმწიფოს ფართობის გაზრდის შესახებ. პროექტის ავტორები წინადადებას აყენებენ მოითხაროს ყველა მთა და ბორცვი, მთელი ეს მიწა ჩაიყაროს ზღვაში და ამით ამოივსოს წყალმარჩხი ადგილები. როგორც პირველმა ცდებმა აჩვენა, ასეთ ფართობზე შეიძლება გაშენდეს საცხოვრებლები, ქარხნები, დაითესოს ბრინჯი, ბოსტნეული. 100-150 წლის განმავლობაში იაპონია მთლიანად შეიძლება დაბლობად იქცეს. არსებობის უფლება დარჩება მხოლოდ და მხოლოდ იაპონელთა წმინდა მთას — ფუძიამას.

შაქრის მუყაო

კუბაში მატანსის ცელულოზის კომბინატმა გამოუშვა პირველი 25 ათასი ტონა მუყაო და ქაღალდი შაქრის ლერწმისაგან. ცხადია, ამ ლერწმისაგან შაქარი უკვე გამოხდილი იყო.

ეს დიდი ტექნიკური მიღწევაა, რადგან ნე-ტყის მარაგი მთელ მსოფლიოში კატასტროფულად კლებულობს, შაქრის ლერწმის პლანტაციებს კი შეუძლიათ ქაღალდის მრეწველობას მისცენ დიდძალი იაფი ნედლეული.

ბოგზაური ღამურები

თურმე ღამურებიც მოგზაურობის ტრფიალი ყოფილან. ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიაში აღრიცხულია ასეთი ფაქტები: სამხრეთ ბოჰემიაში დაიჭირეს ღამურა, რომელიც შერგოლილი იყო სამი თვის წინათ ადრიატიკის ზღვის მიდამოებში, ტრიესტთან ახლოს. ამავე რაიონში დაიჭირეს რიგაში შერგოლილი ღამურებიც.

კალმის წვერზე ტუშმა შეხმობა იცის და იოლად აღარ იწმინდება. „დააწე“ ტუშშემხმარი კალამი კარტოფილის გადანაჭერს და კალამი წამში გაპრიალდება.

ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ხერხი შინ არყოფნის დროს ყვავილებისათვის წყლის მიწოდებისა ასეთია: ყვავილიან ქოთანს ქვემოდან პოლიეთილენის ტომსიკა შემოახვიე და შიგ წყალი ჩაასხი; წყალი ნელ-ნელა აორთქლდება და ყვავილებს დაარწყულებს.

თუ ხელთ არა გაქვს შარვლის დასაკიდი, შენ თვითონ შეგიძლია იგი გააკეთო. მოძებნე 3-4 მილიმეტრიანი ფოლადის მავთული, ასე 32-35 სმ სიგრძისა. მოხარე და ბოლოებზე სარეცხის სამაგრები ჩამოაცვი.

მოძველებული მაცივრის რახარუხმა ყურთასმენა რომ არ წაიღოს, იშოვნე რეზინის მილი ან სხვა მასალა და როგორც ნახაზზეა მოცემული, ისე „ამოუკარი“ პირი კომპრესორს. ვიბრაცია შეწყდება და ხმაურიც შესამჩნევად მოიკლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული თამაშები

1. ორ ხეს შორის 120 სანტიმეტრი დიამეტრის „ჰულა-ჰუპის“ რგოლი ჩამოჰკიდე, იქვე 80-100 სმ სიმაღლეზე ბურთი ჩამოაბი. გამოიქეცი, ბურთს მუხლი დაარტყი და რგოლში გაატარე...

2. გამოიქეცი, ახტი, იმავე ბურთს ფეხი გაჰკარი და ორივე ფეხზე დახტი. თამაში შეიძლება გაართულო: ვინ შეძლებს ბურთზე დარტყმული ფეხით ძირს დახტომას?

3. გამოიქეცი, ახტი და ისე მოიხარე, რომ რგოლში გახტე.

ეს უბრალო, მაგრამ საინტერესო თამაშები შეგიძლია როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად ჩაატარო.

4. თამაშობს ბიჭების ორი გუნდი. დადგებიან ორმწკრივად, ერთმანეთისაგან 3-5 მ მოშორებით, წაიხრებიან.

უკანანი იწყებენ. ჯერ ერთი გამოირბენს, გუნდის ყველა წევრს თანმიმდევრობით გადაახტება და თავში დადგება. ახლა მეორე გამოიქცევა და სათითაოდ ყველა თანაგუნდელს გადაახტება და ა. შ. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც უფრო ადრე დაამთავრებს ხტომას.

5. სახტუნელათი იხტუნე. ორმა სხვამ უფრო მოზრდილი სახტუნელა დაატრიალოს. ახლა ორ სახტუნელაში ერთდროულად იხტუნე. გაიმარჯვებს ის, ვინც მეტჯერ შეძლებს ამას.





სარჩევი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ჟურნალ „პიონერისადმი“. . 1

ლ. კოდვოისკი — „ბავშვები უნდა გავუშვათ წინ“! (მოთხრობა). გარეკ. . . . . 2 გვ.

ნ. მგელაძე — 60 დამკვრელური კვირა რევოლუციის 60 წლისთავს (ნარკვევი) 4

თ. კვირიკაძე — ატირებული ბუნება (ლექსი) . . . 4

ე. მერაბიშვილი — თრიალეთის ციალი (მოთხრობა) . . 7

გ. მეტრეველი — ვაჟა; მეწისქვილე (ლექსები) . . . 13

რ. მარგიანის დაბადების 60 წლისთავი 14

გ. აბდალაძე — ჩვენ ბამელებთან ვმეგობრობთ (ნარკვევი) . 15

ა. გეგეჭკორი — „წითელი წიგნი“ (წერილი) 18

ნ. ფაილოძე — მასპინძელია 36-ე პროფტექნიკური სასწავლებელი (ნარკვევი) 20

ჯ. ჰედაიათი — გაქცევა (მოთხრობა) 20

დ. გოზალიშვილი — მოვიარეთ მთა და ბარი (წერილი) . 26

აისი 28

საინტერესო სიახლენი 30

საზრიანის ხელში 31

სპორტული თამაშები 32

ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3 გვ.

ყურადღება, ყურადღება! ვაცხადებთ ნორჩ შემოქმედთა კონკურსს! 3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ზურაბ ფორჩხიძისა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/XI-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/I-77 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 3863. ტირ. 146.350. უე 03882.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

© „პიონერი“, 1977 წ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



ამ ათი ჯამბაზიდან მხოლოდ ორია ერთნაირი, თუ მიხვდებით, რომლებია?

გამოცანები

არა მაქვს ფერი და
არა მაქვს სხეული,
თვალით უხილავი
ვარ მეტად ძლიერი.

ყველაფერს ვუცვალე
ნირი და იერი.

●

მეტყველივით
ლაპარაკობს,
ფრინველია საარაკო.
ალ. ნამორაძე.

რასაცკი შევეხე
მე—ნგრევას ჩვეული, —

ულოცმანოდ



ტურისტების შეკრება დანიშნულია კუნძულზე. ვინ უფრო ადრე მივა აღნიშნულ ადგილზე ულოცმანოდ?

ვინ მიჰყავს ამ ყმაწვილს?

შარადები

1

საფოსტო ნიშნის სათქმელად
ფიქრი საჭირო არც არი, —
შარადისათვის დატოვე
მარტოდენ წინა მარცვალი.
ვაშლის ზოგადი სახელი
ბოლო ნაწილად ითვლება,
უბორბლო საზიდარია,
რომელიც ხისგან ითლება.
შუა თანხმოვნის გამოცვლა
თუკი არ გაგიჭირდება,
ისიც ხისაგან თლილია,
ოღონდ ღობისთვის გვჭირდება,
ახლა მესამე თანხმოვნის
მოშლაც ხომ არის ადვილი! —
თუ ზომიერად არა აქვს,
უგემურია სადილი.

2

ჯერ ცელქის სინონიმური
სახელწოდება რაც არი,
იმ სიტყვას ჩამოაშორე
რიგით პირველი
მარცვალი.
მერე ლითონის ორტუჩა
ხელსაწყოს უნდა
მიგნება, —
წინა მარცვალი შარადის
ბოლო ნაწილი იქნება,—
მაშინ ნავარდობს
ხალისით,
ცა რომ იცლება
ფიფქებად.

გამოცანა

წევს, როდესაც
ცოცხალია,
მაგრამ მიდის, როცა
კვდება,
იმის მოსვლას ყველა
ბავშვი
ხალისით და ლხენით
ხვდება.

შ. ამირანაშვილი.

გამოცანები

●

აღარც საწვავი სჭირდება,
აღარც სმა-ჭამა უნდა,
დროს ანგარიშში
ატარებს,
შრომის დროს მღერის
მუდამ.

●

ორი ძმობილი დაბლა,
ორი ძმობილი მაღლა,
ხუთი შვილი ჰყავს
თითოს,
პასუხს შენ მიხვდი
თვითონ.

●

ნაყოფი და ღერო
ნიადაგზე წვება,
გული უწითლდება,
როცა დამწიფდება,
კარგად დაუფიქრდი,
მითხარ, რა იქნება?

ბ. ლეჟავა.

პასუხი № 12-ში მოთავსებულ „ᲪᲮᲠᲐᲙᲚᲘᲢᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

კროსვორდი

შვეულად: 1. ბარდო; 2. სიცილია; 3. ტელმანი; 4. მელია; 7. ლარისა; 8. დოლიძე; 12. ნინო; 14. იარა; 16. დიუმა; 17. მარსი; 21. ეგრისი; 22. იორი; 24. ინდი; 25. მუსიკა; 26. ნიგერია; 27. ბენფიკა; 30. ანოდი; 31. ქარსი.

თარაზულად: 5. ბლანკი; 6. ენძელა; 9. დასი; 10. მანი; 11. ბრუნო; 13. აიალა; 15. ჰიმნი; 18. იაპონია; 19. ფარადეი; 20. ჰელიუმი; 23. ოსმიუმი; 28. ფინეი; 29. ფიფია; 31. ქიმია; 32. ნედე; 33. ფიფა; 34. ლადოგი; 35. კიუსიუ;

ბ 51/13

ყურადღება!

ვაცხადებთ ნორჩ შემოქმედთა კონკურსს!

კონკურსის დევიზია „ოქტომბერი ჩვენს გულებში“. იგი ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან 60 წლისთავს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გიწვევთ ყველა ნორჩ შემოქმედს. შეგიძლიათ გამოგზავნოთ: ლექსი, პატარა მოთხრობა, ჩანახატი, ნარკვევი, ნახატები (აკვარელით, ტუშით, ფანქრით, ზეთით, გუაშით შესრულებული ნამუშევრები, არა უმეტეს 30×22 სმ-სა და არა უმცირეს 25×15 სმ-სა). ქარგულობა, ფოტო (არა უმეტეს 18×24 სმ ზომისა), ხეზე, ლითონზე ჭრის ნიმუშები, ნაძერწები, მუსიკალური ნაწარმოებები.

კონკურსის მიზანია გამოავლინოს ნორჩი ტალანტები, მათი ნიჭი და ფანტაზია მიმართოს ოქტომბრის რევოლუციის, მისი დიადი მონაპოვრების თემის ღირსეული ასახვისაკენ.

რედაქციის მიერ მოწონებული მასალები დაიბეჭდება ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალ „აისის“ ფურცლებზე. ამ გამოქვეყნებული მასალებიდან, შემდგომ, კონკურსის ჟიური შეარჩევს ყველაზე საუკეთესოებს, გამოავლენს გამარჯვებულებს. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება ჟურნალ „პიონერის“ 1977 წლის მე-11 ნომერში. საკონკურსოდ მასალების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1-ლი სექტემბერი.

გამარჯვებულები მოწვეული იქნებიან თბილისში ჟურნალ „პიონერის“ რედაქციაში, სადაც შეხვდებიან კონკურსის ჟიურის წევრებს, გამოჩენილ მხატვრებს, მწერლებს, კომპოზიტორებს. გადაეცემათ საქ. აღკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელები, ფასიანი საჩუქრები.

საკონკურსო მასალები გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი 380096, ბელინსკის ქ. № 2, ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია, „კონკურსისათვის“. ზუსტად აღნიშნეთ თქვენი მისამართი, გვარი, სახელი, სკოლა, კლასი.

გისურვებთ წარმატებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС 76157